ახალი
# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი — ფასი 3 მან. ... 

წოდინადი პირველი — შაბათი, 12 ივლისი 1919 წ. № 7 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73


ეროვნულ დემოკრატ ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ქ. სურამში გარდაიცვალა ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრი სტუდენტი

**მიშა (მიხეილ)**
## ლომიძე

დამწუხრებულნი მეუღლე ტოტუშა ბესარიონის ასული უგულავასი, ბიძა ნესტორ მიქელის ძე უგულავა და ბიცოლა აგრაფინა უგულავასი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი პირველის— ქმარი, მეორესი—ძმის შვილი და მესამე ბიძაშვილი

**იონა ივანეს ძე უგულავა**

გამოსვენება მოხდება დღეს, 12 მკათათვეს, გერმანელების საავადმყო ფოდან „ნაზერეთის" ქ. წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში დილის 10 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს ეკლესიაში.
1—2522—1

დამწუხრებულნი მეუღლე თეო ოტიას ასული გიგინეიშვილისა შვილებითურთ: დათიკო და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ს. ფ. ჯურუყვეთში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ექვსი თვის შესრულების გამო მათი უსაყვარლესი: პირველის—მეუღლის და მეორესი—მამის

**დიმიტრი ელიზბარის ძე გიგინეიშვილის**

სულის მოსახსენებლად წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, დღეს 13 მკათათვეს.
2—2523—1

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ფოთში

**სოფიო ნიკოლოზის ასული გერმანოვიჩისა**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები ანნა და მიხეილ გერმანოვიჩები, ძმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ძმისწულები ივლიანე გაბრიელის ძე და გრიშა ალექსანდრეს ძე ხოფერიძეები. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 12 მკათათვეს ქ. ფოთში.
1—2524—1


## დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა
### მიწის საკითხი საქართველოში
### ალ. ასათიანისა

თ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთრებითი; 3. სახ ლმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მამულები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9; მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა; 12. ბოლოსიტყვაობა. წიგნის შოვნა შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში.
10—უ—4

### პირველი სარისხოვანი რესტორანი
## „საქართველო"

პუშკინის ქუჩა № 4, ტელ. 17—18.

ახლად შეკეთებული მშვენივრად მორთული მყუდრო კაბინეტებით. მუდმივი სადილ-ვახშმით საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით

**მზადდება საჭმელები როგორც ევროპიული ისე აზიური**

**ხარჩო, ლობიო, საცივი** და სხვა ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

სასმელები საზღვარგარეთელ და ადგილობრივი ფირმების. სადილ-ვახშმის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, თავისუფალ ხელოვან კალანდაძის და პიანისტ გოგნიევის ხელმძღვანელობით.

მიიღება შეკვეთა ყოველ გვარ საამხანაგო სადილ ვახშამზე.

**ოფიციანტების პროცენტები მოსპობილია.**

რესტორან „საქართველოში" **მალიან გრილა.**

რესტორანი „საქართველო" ღია არის **ღამის 2 საათამდე.**
10—2525—1

### ქართული კლუბი

კვირას, 13 მკათათვეს 1919 წ. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა
### ლატარია-ალეგრით

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლის სროლა, ტომბო, საბავშო გასართობები, კიოსკში და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 12 საათზე. შესასვლელი ფასი დიდებისათვის—5 მან. მოწაფ.—3 მან.
2—136—1


**წევრთა საყურადღებოდ!**

კოოპერატივ „დახმარებამ" მიიღო სიმინდი და სიმინდის ფქვილი. წევრებთ შეუძლიათ შეიძინონ კოოპერატივის ორთავე მაღაზიაში.

## ეროვნული საბჭოები

ეს საკითხი მეტად მწვავეა და საყურადღებო. ჩვენ ვიცნობთ ამ ეროვნულ საბჭოებს მათი ერთი წლის მოღვაწეობით საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. უნდა გულახდილად ითქვას, რომ უმთავრესები მათ შორის, როგორც მაგალითად, სომეხთა, ოსთა და რუსთა ეროვნული საბჭოები, აშკარად საქართველოს საშტრო პოლიტიკას აწარმოებდენ; მიზანი მათი პოლიტიკური იყო და ეს მიზანი მდგომარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობასა და მის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, სომეხთა ეროვნული საბჭო, საქართველო-სომხეთის ომის დროს, საქართველოს ქვეშევრდომ სომეხთა შორის ვოლონტერების მოკრებას მეთაურობდა არარატის რესპუბლიკის ჯარში გასაგზავნად; და თუ თვით სამხედრო მოქმედების დროს სომეხთა ეროვნული საბჭო მოღალატურ მიზნებს აშკარად ემსახურებოდა, რა უნდა იყოს მისი მოღვაწეობა ჩვეულებრივ დროს.

სომხური პრესსა თავგამოდებით იცავს სომეხთა ეროვნულ საბჭოს, „მშაკი", „აშხატავორი", „ჟღოვორდინ ძაინ" და სხვანი პერიოდულად ეხებიან ამ საკითხს, და მასზე ყოველთვის ხანგრძლივად შეაჩერებენ ხოლმე საქართველოს მოქალაქე სომეხთა ყურადღებას. „ზომიერი" „მშაკი", ამ ორი თვის წინად, თვის მეთაურ წერილში სომეხთა საბჭოსთვის ისეთ ფართო უფლებებს მოითხოვდა, რომ საქართველოს სომეხთა ყოველმხრივი მოთხოვნილება და მდგომარეობა თითქმის მარტო მას უნდა დაქვემდებარებოდა, „მშაკის" პროგრამით სომეხთა ეროვნული საბჭო უნდა იყოს საქართველოში „სომხეთის" მომწყობი საქართველოს ხაზინის ხარჯზე; და როდესაც ამ გვარად საქართველოში სომხეთი შეიქმნება, მაშინ სომეხთა საბჭოს როლი, მისი, მიზანი და მეთოდი, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის წინააღმდეგ იმოქმედებს. თუ ასეთია ზომიერი მშაკის გამომჟღავნებული პროგრამა, რა უნდა იყოს „აშხატავორის" ფარული მიზნები.

ოსთა საბჭო სათავეში ჩაუდგა ოსთა მოძრაობას და პოლიტიკურ მიზნად საქართველოში ოსეთის გამოჭრა დაისახა. ამავე დროს ოსთა საბჭო თავის საბრძანებელში საქართველოს მთავრობის განკარგულებებს არ სცნობდა და არც მის მოხელეებს ღებულობდა. ოსთა პირველ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ჩვენი დაუდევრობით, კვლავ შემზადდა დიდი ასაფეთქებელი მასალა მეორე აჯანყებისათვის და მთავრობა იძულებული იყო დაესწრო და ჯარი წინდაწინ გაეგზავნა მოძრაობის საშოშივე ჩასაქრობად.

რუსთა ეროვნული საბჭო დენიკინელების ოფიციალური თავშესაფარია, ეს მის შტაბის განყოფილებაა, რომელიც აგროვებს დენიკინის არმიისთვის ოფიცრებს და ჯარისკაცებს, ჰკრეფს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ინფორმაციას და აწყობს მუდმივ მისვლა-მოსვლას საქართველოსა და დენიკინის შტაბ-კვარტირას შორის.

ასეთია მოღვაწეობა ეროვნული საბჭოებისა საქართველოში. ეს არის მათი მოღვაწეობის ისტორია და ის მიზანი, რომელსაც ეს საბჭოები ემსახურებოდენ, უნდა სახეში იყოს მიღებული მათდამი ჩვენი პრინციპიული პოზიციის გამორკვევის დროს. ამ საკითხს ჩვენ ბევრჯელ შევხებივართ და სხვა და სხვა დროს ამ საბჭოთა კონკრეტიულ მოქმედების განხილვას, ისე როგორც იმ გარემოებას, რომ დღეს საქართველოში შემოღებულია და მოქმედობს დიდუფლებიანი ადგილობრივი თვითმართველობა, რომელსაც ეხელმწიფება ფართო მასშტაბის კულტურული და ეკონომიური მოქმედება,—ყოველთვის იმ დასკვნამდე მივყავდით, რომ ამგვარ ეროვნულ საბჭოებს არავითარი „raison d'être"-ი არ აქვსთ და რომ მათი დახურვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი უშიშროების შესამჩნევად.

ეს საბჭოები დამოუკიდებელ საქართველოს შემშველად კი არ მოვლინებიან, არამედ ხელის შემშლელად და ჩვენ გვეგონა, რომ ყველა, ვინც კი იცნობდა ამ საბჭოთა მოღვაწეობას, მათ სულისკვეთებასა და მიზანს და ვინც დარწმუნებული იყო რომ დღევანდელი ერობა სრულიად საკმაოა უფრო მეტისთვის კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აღნიშნავდა ამ საბჭოების უნიადაგობას ზედმეტობას და მავნებლობას მოითხოვდა ამ რევოლიუციურ დროს, ორგანიზაციის ლიკვიდაციას, რაკი ჩვენში დამფუძნებელი კრება მოქმედობს და ნორმალური ცხოვრების პირობებიც თან და თან ფეხს იკიდებს.

მაგრამ ეს ასე არ ხდება. ამ ფაქტებს ყურადღებას არ აქცევენ. ანგარიშს არ უწევენ არც ამ საბჭოების მიზნებს, რომელიც ყველას სისწორით აქვს შეგნებული და გამოდიან ამ საბჭოების დამცველებად, მათ მხარს უჭერენ და საგიტაციო რეკლამასაც უწევენ. ასე იქცევა გაზეთი „ერთობა". ასე იქცევა მთავრობის რუსული გაზეთი „ბორბა", რომლის რედაქციის და თანამშრომელთა შემადგენლობა რუსული რენაციონალიზაციის გზით მიექანება!

„ბორბას" არ აქვს არავითარი რეალური საფუძველი არ იფიქროს, რომ საქართველოს სომხობას „დაშნაკცუტიუნი" მბრძანებლობს და როგორც არარატის რესპუბლიკის ამ უკანასკნელ არჩევნების დროს დაშნაკელებმა გაიმარჯვეს, ისე აქაც სომეხთ ეროვნულ საბჭოს არჩევნებშიაც უსათუოდ დაშნაკელები გაიმარჯვებენ. არ შეიძლება „ბორბა"-მ ისიც არ იცოდეს, რომ სომიხს სოციალ-დემოკრატების ზურაბოვის გარშემო ირაზმებოდა და არა ქართულ პოლიტიკას ადგანან. „ბორბა"-მ იცის ყოველივე ეს მაგრამ იგი მაინც აგიტაციას ეწევა სომეხთა ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ და ამ საბჭოს საარჩევნო ყუთისკენ მოუწოდებს 20 ივლისისთვის ყველა სომეხს ამომრჩევლებს!!

ვის საქმეს აკეთებს გაზეთი „ბორბა"?! ჩვენი რესპუბლიკისას თუ დაშნაკელებისას?

## საქართველოს ბონები

დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს ბონების გამოცემა უკვე დამტკიცდა. ასეთს გადაწყვეტილებას, როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, წინ უსწრობდა მრავალი თათბირი და მოლაპარაკება მეზობელ რესპუბლიკებთან.

ჯერ ამიერ-კავკასიის კონფერენციის გახსნამდე აზერბაიჯანი აშკარა წინააღმდეგობას აცხადებდა ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის შესახებ. ეს გარემოება იმით აიხსნება რომ ამ რესპუბლიკას უკვე თავისი ბონები ჰქონდა. თუ საქართველო მომხრე იყო ამიერ-კავკასიის ბონების კიდევ გამოცემისა, ეს იმისთვის, რომ მას დღევანდელს პირობებში საკუთარი ვალიუტის შექმნა ფრიად საძნელოდ მიაჩნდა. ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში კიდევ ახალი ფულის ნიშანის გაჩენა მრავალს სირთულეს შეიცავს. ამ სირთულეთა გადალახვა მხოლოდ მიზან შეწონილი ფინანსიურ პოლიტიკის წარმოებით შეიძლება. თორემ თუ საქართველოს ბონებს ამიერ-კავკასიის ბონების ბედი ეწვია და ის, ნაცვლად თავის დანიშნულებისა, როგორც ფულის ნიშანი, გარდაიქცა რესპუბლიკის ხაზინის წყაროდ და დაუსრულებლივ იბეჭდა მხოლოდ ქვეყნის მართვის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ცხადია, რომ მისი ფასის დაცემის პროცესი კიდევ უფრო სწრაფი იქნება. მართალია, გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯები იმისთვის, რომ სახელმწიფომ თავის არსებობისთვის საკუთარი შემოსავლის წყაროები გაიჩინოს. გამოიცა კანონები შესახებ სხვა და სხვა გვარი გადასახადების აკრეფისა, მაგრამ, საუბედუროთ, ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და საქართველოს ხაზინას არაფერს ჰმატებს.

ახალი ბონების გამოცემას წინ უნდა უსწრობდეს საზოგადოებრივი აზრის შემუშავება და ამისთვის კი საჭიროა ახალი ფინანსიური აქტის ფართე საზოგადოებისათვის გაცნობა.

ამასთან ერთად საჭიროა აზერბაიჯანთან შეთანხმება, რათა ჩვენ ბონებს აზერბაიჯანის საზღვრებში ჰქონდეს გასავალი ისე, როგორც მათ ბონებს. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამაც უნდა დართოს თავისუფალი მსვლელობის უფლება აზერბაიჯანის ახალს ბონებს რესპუბლიკის საზღვრებში.

დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს ამიერ-კავკასიის ბონების გამოსყიდვის გეგმა. უკეთუ საქართველო და აზერბაიჯანი შეთანხმებულნი იქნებიან, მათ შეუძლიათ თავის ბონებზე დაახურდავონ ამიერ-კავკასიის ბონების თავისი წილი და ამის შემდგომ ამიერ-კავკასიის ბონების მსვლელობა თავის საზღვრებში აღკრძალონ. ეს ღონისძიება მით უფრო აუცილებელია, რომ უკანასკნელ ხანში მრავლად იბეჭდება ყალბი ამიერ კავკასიის ბონები და ემისიის შეწყვეტის შემდეგ ყალბი ბონების ბეჭდვა შესაძლოა კიდევ უფრო გაცხოველდეს. ფართე მასსის ინტერესები მოითხოვს მას სხვა, უფრო საიმედო ნიშნებზე გადახურდავებას.

ეხლა მაინც უნდა მივიღოთ უფრო რადიკალური ზომები, რომ ახალი ფულის ნიშნები ღირებულებათა ტრიალის საჭიროებებს ემსახურებოდეს და არ იბეჭდებოდეს დაუსრულებლივ მმართველობის ხარჯების დასაფარავად. დროა ხაზინა უფრო მხნედ შეუდგეს მისთვის საჭირო სალარის გამონახვას.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელობა ამ ბონების ღირებულობის გასამაგრებლად ექნება ჩვენი საგარეო ვაჭრობის მოწესრიგებას და შექმნას ისეთი პირობებისა, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებნი უცხოეთში გავიტანოთ და მიაღებს პირობებში გავასაღოთ.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ახალ ფულის ნიშნებს ჩვენი მთავრობა სათანადო სიფრთხილით და მზრუნველობით მიეკიდება.

## პრესსა
### „ერთობა" და ქართული ბონები.

გაზეთი „ერთობა" № 151-ში ეხება საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის საკითხს და სხვათა შორის სწერს:

„შარშან, როდესაც პარლამენტში ირჩეოდა ეს საკითხი, წმინდა ქართული ბონების გამოცემის მომხრენი მემარჯვენე ბანაკიდან გამოდიოდენ, მმართველი პარტია კი ამის წინააღმდეგი იყო. მან დაუჭირა მხარი ამიერ კავკასიის ბონების გამოცემას რაიც უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმების შედეგი. ეს შეთანხმება ბონების გამოცემაში რომ წელსაც შესაძლებელი ყოფილიყო, აზერბაიჯანიც და სომხეთიც ბონების გამოცემაში ისევე დაინტერესებული ყოფილიყვნენ, როგორც ჩვენი რესპუბლიკა, მაშინ, ეჭვი არ არის, მმართველი პარტია დღესაც ამიერ-კავკასიის ბონებს არჩევდა.

როდესაც გაზეთი მემარჯვენე ფრთას ეხება, სახეში ჩვენი პარტია ჰყავს მიღებული, რადგან ეროვნულ საბჭოში მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო წინააღმდეგი ამიერ-კავკასიის ბონების გამოშვების და მაშინ ჩვენი ფრაქცია ხელმძღვანელობდა იმავე მოტივებით, რა მოტივებითაც დღეს დაუჭირა მხარი 30 მილ. ქართულ ბონების გამოცემას. უნდა ითქვას, რომ ეს მოტივი უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის იყო და არის.

ჩვენი მენშევიკები თავიდანვე იყვენ ჩვეული „სხვის ანგარიშზე" ცხოვრებას.

ამ შემთხვევაშიც ისინი ეშმაკურად ფიქრობდენ ამოფარებოდენ აზერბაიჯანის და სომხის მოჭირნახულე ერს და ეკონომიურ ცხოვრებაში ნახევრად სოციალისტური ექსპერიმენტები ექეთებინათ. მაგრამ შეუფერებელი დარჩა ორთავე ერისათვის ამ სოციალისტურ ექსპერიმენტებთან ერთად მენშევიკების ხელგაშლილობაც რომლებმაც, უნდა ითქვას სიმართლე, ზედმიწევნით შეითვისეს ჩვენი თავად-აზნაურობის დარდიმანდობა ხარჯვაში.

ამიერიდან სოციალ-დემოკრატიული მთავრობა განპარტოვებულს რჩება თავისი ფინანსიური პოლიტიკით და ის იძულებული იქნება მის წინაშე დასმული დილემა, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა გასცეს პასუხი: ან განაგრძოს ყოვლად შეუსაბამო ჩვენი ცხოვრებისათვის სოციალისტური სისტემა და მით საქართველო მიიყვანოს დაღუპვის კარამდე ან და სამშობლოს ხსნის გულისთვის აწარმოოს გონიერი და ჩვენს სინამდვილესთან მიზანშეწონილი ეკონომიური პოლიტიკა.

ცხადია, რომ საქართველოს ფულის ნიშნები მეტად რთულს პირობებში გამოდის, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ ჩვენი ფინანსიური პოლიტიკა გამოსწორდება და ამ სიძნელეებს გადავლახავთ.

## ქრონიკა

**კვირას. 13 ივლისს, დილის ათ საათზე, რედაქციის ბინაზე დანიშნულია ახლად არჩეული ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის პირველი კრება. კრების საგანია პრეზიდიუმის არჩევა და სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხი. ძველი პრეზიდიუმი სთხოვს ახალ წევრებს კრებას უკლებლივ დაესწრონ**

**სახელმწიფო კონტროლის ამხანაგი.** სახელმწიფო კონტროლის ამხანაგად, დამფუძნებელმა კრებამ ქ. ანდრონიკაშვილი აირჩია.

**სახელმწიფო გადასახადთა აკრეფის შესახებ.** ვინაიდან მილიცია არ ასრულებს გადასახადთა ამკრეფ ინსპექტორის განკარგულებას, რაც აფერხებს გადასახადთა წესიერად აკრეფას, შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ყველა ერობათა გამგეობას და მაზრის კომისრებს რათა ენერგიული ზომები მიიღონ სახელმწიფო გადასახადთა აკრეფის მოსაგვარებლად.

**თანამდებობიდან განთავისუფლება.** სახელმწიფო ხაზინის კომისარი ბატ. დუმბაძე თანახმად თავისი წერილობითი თხოვნისა თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

**ქალაქის საბჭოს სხდომა.** ორშაბათს შესდგება ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

**მადლობის გამოცხადება.** ელექტრო-ტეხნიკურ კონტორა „ენერგიის" გამგეობამ წერილობითი მადლობა განუცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის მილიციის ენერგიულ მოქმედებისათვის მათ კანტორიდან გატაცებულ 60.000 მან. აღმოჩენის საქმეში

# უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო ავსტრიის საზღვრების საკითხის განხილვას შეუდგა.

ელზას ლორენში მუშათა გაფიცვები გრძელდება.

საქსონიის პარლამენტმა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების კანონპროექტი მიიღო.

დვინსკის, აღმოსავლეთის და პეტერბურგის მიმართულებით საბჭოთა ჯარი შეტევაზე გადავიდა.

მოხალისეებმა ხარკოვში სამი დღის ყოფნის დროს დახვრიტეს და ჩამოახრჩეს 2.000 კაცი.

უკრაინის საბჭოთა ჯარმა პროსკუროვი დაიპყრა.

◆ **ტრამვაის წარწერები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ტრამვაის ყველა ვაგონებს ქართულად წააწერონ, ხოლო ამავე დროს რომელიმე ადგილას რუსული წარწერებითაც უნდა დაეწეროს ტრამვაის მარშრუტი.

◆ **ხომებ ლტოლვილების წასვლა.** 15 ივლისს თბილისიდან გაგზავნიან ყარსის ოლქის ლტოლვილებს.

— ამ დღეებში გაგზავნიან აგრედვე ახალციხის მაზრის ლტოლვილებს.

## ბოროტ-მოქმედებანი.

◆ **მოკლული გვამი.** 11 ივლისს დილით, ვორონცოვის ქუჩაზე, ტოლეს ქარხანასთან იპოვეს გვამი უცნობ კაცისა.

◆ **თავდასხმა.** 10 ივლის საღამოს ალ. მიქიაშვილის ბინაზე (ახალშენში) შეიჭრა 3 შეიარაღებული პირნი და მოსტაცეს 1000 მანეთის საქონელი.

◆ **ქურდობა.** 10 ივლისს ღამით მეიფარიანის ბინიდან მოიპარეს 30,000 მან. მხ. და სხ. ნივთები.

◆ **ეკლესიის გაქურდვა.** 9 ივლისს ღამით ბოროტ-მოქმედებმა ვერის სომეხთა სასაფლაოს სურფ-ხაჩინის ეკლესია გაქურდეს. წაიღეს ოქრო ვერცხლი და სხვა ნივთები სულ 32,000 მანეთისა.

◆ **დაპატიმრება.** წამლის მაღაზიის პატრონი ბაბასიანს მაღაზიაში გამზადილი პატრონები აღმოუჩინეს, რისთვისაც მას 2 თვის ციხე მიუსაჯეს.

◆ **ჯიბგირების დატუსაღება.** 9 ივლისს, საღამოს სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა რამდენიმე ცნობილი ჯიბგირი.

◆ **დაჯარიმება.** ხორცის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის ვ. გ. ჩხარიძე 3,000 მანეთით დააჯარიმეს. ფარნის აუნთებლობისათვის ლ. გურევიჩი 300 მან. და სხვები.

## სამხატვრო ქრონიკა

**მონოგრაფია ფიროსმანიშვილისთვის.**

ფინანსიურ ჯგუფმა, რომელიც დაინტერესებულია ეროვნულ ხელოვნების აყვავებით საქართველოში, გადასდო 50.000 მანეთი მხატვარ ფიროსმანიშვილის მონოგრაფიის შესადგენად მონოგრაფიის შედგენა მიენდო კირილლე ზდანევიჩს.

**წარმოდგენები პროვინციაში.**

დღეს, შაბათს „საბავშო თეატრი"-ს დასი მიემგზავრება პროვინციებში წარმოდგენების გასამართავად. პირველი წარმოდგენა გაიმართება გომში, შემდეგ გორში, ქარელში, სურამში, ხაშურში, ბორჯომ-წაღვერში და სხვაგან...

# პროვინციის ცხოვრება

## ქარელი.

კვირას, 13 მკათათვეს ქარელის სცენის მოყვარეთა წრე სდგამს ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა"-ს.

— უკვე შეუდგნენ ფოსტის განყოფილების მოწყობას.

## ს. ბარნაბიანთ-კარი.

პურები იჭრება, მოსავალი მეტად კარგია მხოლოდ ვენახებია გაფუჭებული.

## წალკა.

წალკის ბერძნები დიდ სიმშილობას განიცდიან. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბალახეულით იკვებება.

## ს. პატარძეული.

უცნობი ბოროტ გამზრახველები თავს დაესხნენ გიგა მარხვაშვილს, დასჭრეს მხრებში ხოლო მისი ცოლი სასიკვდილოთ მუცელში.

— ავდრების გამო ყანები ჯერ არ გაჭრილა და სოფელში დიდი შიმშილობაა.

— გაძარცვეს ანასტასია გულისაშვილის სახლი. წაიღეს ვერცხლი და ოქროული.

# ქართველი ისრაელები და სტამბოლი

სარწმუნო წყაროების მიხედვით, თანახმად საქართველოს მთავრობის მოთხოვნისა ქართველ ისრაელებს დღეიდან სრული უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ იმგზავრონ სტამბოლსა და ოსმალეთში სავაჭრო მიზნით.

# არშაკ ზურაბოვი და გადმოხვეწილთა ფულები

სომხური გაზეთი „ჟოღოვორდ ძაინ"-ში დაბეჭდილია შემდეგი შეკითხვა:

„საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრებს სოციალ-დემოკრატ არშაკ ზურაბოვს და ესერს არამ ივანესიანს:

ბაქოს სომეხთა საზოგადოებრივ წრეებში ხმებია გავრცელებული გადმოხვეწილთათვის თევზის შესყიდვის შესახებ, რომელსაც თქვენ აწარმოებთ ბაქოში. საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს დავალებით, მძიმე ბრალსა გდებენ თქვენ. გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზედ:

1) მართალია თუ არა, რომ თქვენ მიერ ერთ მილიონად, უფრო მეტად ბაქოში შეძენილი თევზეულობა, თბილისში ჩამოტანისას დამპალი აღმოჩნდა, რის გამოც ამ თევზის მოხმარება მთავრობამ აღკრძალა.

2) მართალია თუ არა რომ, როდესაც ბაზარზე თევზი 70—90 მანეთი ღირდა ფუთი თქვენ მაშინ ფასად 230 მანეთი მიეცით.

3) მართალია თუ არა, რომ ბაქოში სასტუმრო „მეტროპოლში" 5 თვით ცხოვრების დროს საზოგადოების ფული 45 ათასი მანეთი დახარჯეთ. თუ თქვენ შესძლებთ ფაქტებით დაამტკიცოთ ამის საწინააღდეგოს, მხოლოდ ეს უშველის თქვენ სინდისს მომავალ პასუხის გებისაგან.

# მოხალისეთა პრესა დემარკაციულ ხაზის შესახებ.

პეტროვსკში გამოდის დენიკინის ოფიციალური გაზეთი „რუსკაია მისლი" მკათათვის 5-ის ნომერში, იგი ეხება მოხალისეთა და საქართველო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას და ინგლისელებზე გულმოსული ამის შესახებ სწერს: „მოხალისეთა დიდი ძალები ცარიცინის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ განთავისუფლებულნი შეიძლება გადაგდებულ იქმნას ნაწილი ურალის საშველად და ნაწილი ჩვენსკენ, (პეტროვსკისაკენ) რათა გონება დაბნეულ აზერბაიჯანს და საქართველოს მოაგონოს, რომ არ შეიძლება რუს ხალხის ასე დაცინვა და ასწავლოს რომ დიდი და განუყოფელი რუსეთის საზღვარი პეტროვსკის სამხრეთით 5 ვერსით კი არ გაივლის, როგორც ეს სასურველი იქნებოდა მყვირალა თვითმმართველობისათვის, რომელთაც **ჩამოსული გასტროლიორები** ეხმარებიან; არამედ ამ საზღვარმა უნდა გაიაროს იქ, სადაც იგი 1914 წელს გადიოდა".

ვისუწოდებს „ჩამოსულ გასტროლიორებს" დენიკინის გაზეთი მკითხველი ალბად მიხვდება.

# ქართული პანთეონი

დიდუბის ეკლესიას საბჭომ და წერა-კითხვის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე რათა ხაზინამ თავის ხარჯით შეიძინოს პანთეონის მომიჯნავე მიწები რაც მეტად საჭიროა მის გასამშვენიერებლად.

5 მკათათვეს მთავრობამ იქონია რა მხედველობა ამ საგანზე დაადგინა: უარყოფილ იქნას საბჭოსა და საზოგადოების შუამდგომლობა, ხოლო გამოსთქვამენ სურვილს, რომ დიდუბის ეკლესიის სამრევლო საბჭო და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის საშუალებით და ხარჯით შეიძინდეს პანთეონის მეზობლად მდებარე მიწებს.

# „სახალხო საქმის" მეწკიპურტეს

„სახალხო საქმის" მეწკიპურტე ჩვენი გაზეთს უსაყვედურებს—„საქართველოში" ხანდახან ცნობები იბეჭდება წყაროების აღუნიშნავათ და ამან თანამშრომლები აგვიჯანყაო.

ავტორის თავმოყვარეობას საჭიროა ანგარიში გაეწიოს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმის გამოსწორება „სახალხოლთა" საქმეა. მათ უნდა აღნიშნონ ყოველი საქრონიკო ცნობა, ყოველთვის საკზაოთ დაგვინებული რომელიც მადლიან მწერლის კალამს ეკუთვნის.

რაც შეეხება „სახალხო საქმის" თანამშრომელთა აჯანყებას, ამის შესახებ ჩვენ სულ სხვა ცნობები გვაქვს: აჯანყება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ კარგა ხანია „სახალხო საქმის" ყოფილმა მკითხველებმა გაფიცვა გამოაცხადეს და გაზეთს აღარავინ კითხულობს. აჯანყებულ თანამშრომელთ რედაქციისთვის მოთხოვნილება წარუდგენიათ მოგვეცით გარანტია, რომ ჩვენს ნაწერს, კორექტორების გარდა კიდევ კითხულობს ვინმეო.

# აზერბაიჯანი

**ლ. ხამელსონის გარდაცვალება.**

ოდესაში უცაბედად გარდაიცვალა ბაქოში კარგად ცნობილი პეტროგრადის ბანკის ადგილობრივ განყოფილების გამგე ლ. სამელსონი.

**ორი ხადაო ვაგონი.**

აზერბაიჯანის გზათა სამინისტრომ საერთაშორისო მოძრაობის ბიუროში წარადგინა გასარჩევად საქართველოს რკინის გზასთან სადაო საკითხი ორი ვაგონის შესახებ, რომელიც ერზერუმის რკინის გზიდან გადმოიტანეს. გარდა ამისა, საქართველოს გზებში მოუხსნიათ საფოსტო მატარებლისგან ერთი საფოსტო ვაგონი № 287. აზერბაიჯანის გზათა სამინისტრო შეეკითხა საქ. გზათა სამინისტროს, რად მოხსნეს ეს ვაგონი.

**აზერბაიჯანის საელჩო კასპიის იმიერ მდებარე ოლქში.**

კასპიის იმიერ მდებარე ოლქში მობილიზაციის გამოცხადების გამო აზერბაიჯანის საელჩომ მიიღო ენერგიული ზომები, რომ აზერბაიჯნის მოქალაქენი სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებინათ. კასპიის მთავრობას უნდოდა განეთავისუფლებინა მხოლოდ მაჰმადინები, მაგრამ ეს კახონი გავრცელდა აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეზე. ამ რიგად ესენი განთავისუფლდნენ როგორც სამხედრო, ისე შრომის ბეგარისაგან.

**აზერბაიჯანი და მოხალისეთა არმია.**

აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო შემდეგი ორი ნოტა.

I

აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს:

ამით გაცნობებთ, ჩემს მიერ გენერალ ერდელისა და პოპოვის საშუალებით მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშები:

„გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუმოწმოთ აზერბაიჯანის მთავრობას, რომ, უკეთუ აზერბაიჯანის მხრით ადგილი არ ექნება სამტრო მოქმედებას, სამხრეთ რუსეთის ჯარის მიმართ, ეს ჯარი არ გადასცილდება დაღესტნის საზღვარს, ესე იგი მდინარე სამურს. ვთვლი რა აზერბაიჯანს რუსეთის ნაწილად, ვიდრე მისი საკითხი გამორკვეულ არ იქნება სრულიად რუსეთის სახალხო კრების მიერ, მე ვცნობ მის დამოუკიდებლობას და არავითარი სამტრო განზრახვები მის წინააღმდეგ არა მაქვს. გენ. დენიკინი.

პოლკ. ლაზარევი.

II

მის აღმატებულებას, აზერბაიჯანის მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარეს.

დღეს 7 ივლისს, მე მივიღე ასლი მოხალისეთა არმიის წარმომადგენელის განცხადებისა, აღნიშნული 202 №-ით, 4 ივლისის თარიღით. ვწერ თქვენს აღმატებულებას, რათა გაცნობოთ, რომ სამხრეთის სადემარკაციო ხაზი, არ უდრის ბრიტანეთის უდიდებულესობის მთავრობის დეკლარაციას, რომელიც თქვენ გეცნობათ 18 ივნისს.

ამ წერილის შინაარსი ეცნობა ბრიტანეთის უმაღლეს მთავრობას.

ბაქოს რაიონის მოკავშირეთა ჯარების სარდალი **გენ. შატელვორტი.**

**ახხაბადის აღების ცნობა.**

ბაქოს გაზეთ „ბაკინსკაია ჟიზნის" ცნობით, ბოლშევიკებმა ასხაბადი აიღეს. ასხაბადის აზერბაიჯანის მისია მთელი შემადგენლობით კრასნოვოდსკში გადავიდა.

**პროტესტი აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლისა დაღესტანში.**

პეტროვსკში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარ-სარდლის სახელზე დაღესტანში აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლად მყოფმა პროტესტი განუცხადა, იმისთვის, რომ გენ. ერდელს მისთვის მოუთხოვნია დაღესტნის ოლქის დატოვება.

**მაჰმადიანთა მდგომარეობა სომხეთში.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თბილისიდან 2 დეპეშა მიიღო:

1) სომხურ მთავრობამ რეპრესიები კიდეც დაიწყო. ნახიჩევანში და შურარში მასსიური დაპატიმრება დაიწყეს. ნახიჩევანში დააპატიმრეს და გუმბრში გაჰგზავნეს მაჰმადიანთა გავლენიანი პირნი მარხალი-ბეგ ბეგდაშევი, ჰუსეინ-აზა ნავრუზოვი, ჯაფარ-ბეგ ერევნელი, თეიმურ-ჰუსეინ ყიაზიმოვი. გთხოვთ უმიზეზოდ დაპატიმრებულთა განსათავისუფლებლად მიიღოთ ზომები, რათა ამან არ გამოიწვიოს ორი ერის ერთმანეთზე გადამტერება...

2) „ეხლა-ხანს ჩამოსული პირნი აღგვიწერენ იმ საშინელებას, რომელიც თავს დაატეხა სომეხთა დამსჯელ ექსპედიციამ ვედიმასარის მიდამოს მცხოვრებთ მიაყენა. იყო შემთხვევა, რომ მატარებლიდან გამოჰყავდათ მაჰმადიანები და უგზო-უკვლოდ ჰკარგავდნენ. სადგურ ჯარმალუში მატარებლიდან გადმოიყვანეს 4 მაჰმადიანი. ხალხის აღელვებული სინიდისი მოითხოვს, რომ ეს ამბები გამოძიებულ იქმნეს.

# ჩრდილო-კავკასია

**აჯანყება ინგუშეთში.**

ამას წინად ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო გენ. დენიკინის ნოტა ინგუშეთისადმი წარდგენილი, შესახებ ოთხი პოლკის შედგენისა. პოლკების შედგენის ვადად დანიშნული იყო „ორუჯი ბაირამი"-ს მე-4 დღე.

ინგუშები ამ საქმის მომწყობად ზოგიერთ ოფიცერს აბრალებდნენ, ამ ნიადაგზე მოხდა ამბოხება რასაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე ოფიცერის მოკვლა. მოკლულთა შორის ასახელებენ—დობრიევს—ყოფილ ჟანდარმთა როტმისტრ სულთან დოლტურზიევს და სხვ.—მოუხდენიათ თავდასხმა ინგუშეთის მართველ გენ. მალსაგოვზე და ბრიგადის უფროს პოლკ. კოტიევზე.

ბესლანსა და ყარაბულაღის შორის

# აფხაზეთში.

**6. ხარაში, ტუმაკერი და ნოვიკოვი**

ბატონ ვალიკო ჯუღელის გარდა, ხარაში, ტუმაკერი, ნოვიკოვი და ჩვენი ბურ საზოგადოებისათვის სამხედრო პირთა შორის უცნობი შტაბის უფროსი ორაგველიძე. პირველი სამი წევრი ხარაში, ტუმაკერი და ნოვიკოვი, რომელნიც დიდ როლს თამაშობდნენ მთელ წითელ გვარდიელთა საქმეების მსვლელობაში სოხუმის ოლქში, ჩამოსული იყვნენ ლენინის წრიდან ახლად დაარსებულ ამიერ კავკასიის სახელმწიფოს სამფლობელოში სოციალისტური წყობილების გასამაგრებლად. ნიოვიკოვი და ტუმარკერი უკანასკნელ დრომდე საპასუხო თანამდებობას ასრულებდნენ სოხუმის ოლქის სხვა და სხვა დაწესებულებებში. ჩვენ არ ვეხებით ამ პირთა მომზადებაღირსებას. შეიძლება ისინი საუცხოვო ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ იმ აფხაზეთში, რომლის გარემოება და განსაკუთრებული თვისებაა ას ქართველში ორმაც არ იცის, რანაირად უნდა გაეკვლიათ გზა, რა სახელმძღვანელო წესები უნდა დაედგინათ ამ უცხო ადამიანებს? ეხლა არ იქნება ზედ-მეტი, დაუფიქრდეთ იმას, რას ვეძებთ, რა გვინდა, ვის ვემხრობით და ვის ვებრძვით ჩვენ ამ საბრალო აფხაზეთში, სადაც ამდენი უთანხმოება-შეჯახება და არეულება ხდება ჩვენი იქაური მართვა-გამგებლობის მიზეზით? არ არის ქვეყნიერებაზე ისეთი ხალხი, რომლის სახელმწიფოებრივი დაწესებულებათა წარმომადგენელნი უპირველესად ყოვლისა უცხოელებისთვის ზრუნავდნენ და თავის ქვეშევრდომში მკვიდრ მცხოვრებთა ხრესებითი საჭიროება კი მივიწყებული ჰქონდეს.

**7. თავისუფალი მიწა აფხაზეთში.**

აფხაზეთში თავისუფალი, სამუშაოდ სავარგისო მიწა იქნება არა უმეტეს ასი ათასი დესეტინისა, დანარჩენი სულ ტყიანი და მთიანი ადგილებია უმეტესი ნაწილი აფხაზთა მიწების სახელმწიფო კუთვნილებაა: თვით აფხაზებს მიწა ჩამორთმეული ჰქონდათ აჯანყების გამო და მათი მთავრის მიხეილის რუსეთში გადასახლების შემდეგ მთელი სამთავრო მიწები სახელმწიფოდ ჩაირიცხა.

ამ წართმეულ მიწებიდან ერთ მესამედზე მეტი რუსეთის ყოფილ მოხელეებს და ჯარის უფროსებს გადაეცა, ერთი მესამედი ისევ შემორიგებულ აბხაზებს დაურიგდა, როგორც გლეხებს, ისე აზნაურებს ერთნაირად: ათი დესეტინიდან ოცდა-ათამდე, დანარჩენ მესამედზედ ცოტა ნაკლები დროებით უჭირავთ ყველა ეროვნებათა მოიჯარადრეებს, მათ შორის უმეტესი ნაწილი მიწებისა სომხებს უჭირავთ საკმაოდ დიდი ნაწილი ბერძნებს უფრო ნაკლები მეგრელებს და რუსებს მთელ გუდაუთის ნაწილში ორი სოფელიც არ არის ქართველებით დასახლებული. აბხაზების კუთვნილება მიწა, ერთ დროს უსამართლობით რუსის მთავრობისგან ჩამორთმეული მესაკუთრეებისაგან და თავიანთ მოხელეებზე გასაჩუქრებული, ეხლა სათათრეთიდან გადმოხვეწილ და თათრის ქვეშევრდომ სომხებს უჭირავთ ევროპა—ამერიკაში სახელ-განთქმული თუთუნი ამ ადგილებიდან გადის უცხოეთში.

გუმისტის ნაწილში—მთელი წებელდა ერთი სოფლის გარდა, სადაც სამას დესეტინა შემთხვევით შეძენილ მიწაზე დასახლებულია ჩვენებური მეგრელობა სულ სომხებს აქვთ დაჭერილი. თვით „აბჟუა", ანუ კოდორში მხოლოდ ერთ ადგილას არიან დასახლებული მოიჯარადრე მეგრელები—ჩვენ უკანასკნელ ბოლშევიკებთან ბრძოლაში სახელ-განთქმულნი—„ბაბუშერელნი, ანუ დრანდის მცხოვრებნი.

**8—ბაბუშერელი მეგრელები.**

ბაბუშერელი ანუ დრანდელი მეგრელები სრულიად არ ეკუთვნიან იმ ტიპს სოფლის მშრომელ—მუშებისას, რომელთა რიცხვი მრავალია სამეგრელო—იმერეთში; ეს — ბაბუშერლები ნამდვილი „ბურჟუები" არიან: გადმოსახლებულ არიან ზუგდიდ—სენაკის მაზრებიდან და დაბინადრებულები გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის—რუსეთის ყოფილ დედოფლის სახლთ-უხუცესის სამაიორატო მამულზე. არ არის ამ ბაბუშერელ მოიჯარადრეთა შორის ისეთი, რომელსაც ორასი-სამასი ფუთი სიმინდი გასაყიდი არ ჰქონდეს: თუ ძველ დროშიც ეს სიმდიდრე იყო, ეხლა ხომ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 20—30 ათასი მანეთის შემოსავალია; ასეთი მოიჯარადრენი „პროლეტარებად" მონათლეს ჩვენმა მმართველ პარტიის მოქადაგეებმა. ამავე დროს კი იმავე კოდორის ნაწილში მცხოვრები—მემამულე, რომელიც სულ შუათანა რიცხვით, 600—900 მანეთს იღებს წლიურად ამ ოცდა-ათი ათასიანი შემოსავლის მეპატრონე მოიჯარადრესაგან, ფეოდალად და მოიჯარადრის მყვლეფელად არის გამოცხადებული; რომ გადაჭარბებულად არ ჩასთვალოს მკითხველმა ჩემი მოთხრობა მოვიყვან აქ ოფიციალურ წყაროდან სამაიორატო მამულის სამართველოსთან არსებულ ანგარიშებიდან ნამდვილ ცნობებს: დრანდა-ბაბუშერის სამაიორატო მამულში დასახლებულია ოთხასი კომლი მოიჯარადრე მეგრელი, მათ უჭირავთ ოთხი ათასი დესეტინა მიწა; 1917 წლამდე მემამულეს ხელშეკრულობის თანახმად აძლევდნენ შემოსავლის მეოთხედს, მაგრამ რაც ნოემბრის დამლევამდის ოჯახურ საჭიროებაზე დაეხარჯებოდა მოიჯარადრეს ახალ მოსავლიდან ის არ ეთვლებოდა; ხელთ მაქვს ამ მამულის გარემოების კარგად მცოდნე სანდო კაცის წერილი, რომლიდანაც სჩანს: „სანამ თუთუნის თესვას დაიწყებდენ სიმინდი უფრო ბლომად მოსდიოდათ მოიჯარადრეებს: იყვნენ ისეთნი, რომელთაც 800—1000 ფუთს სიმინდს გაჰყიდდენ წელიწადში, ულარიბესი-კი 150 ფუთამდე მაინც გაჰყიდდა. ამ უკანასკნელ 2—3 წლის განმავლობაში თუთუნის ფასის აწევამ მეგრელებსაც თუთუნის თესვაზედაც მოაკიდებინა ხელი, რომელნიც 20 ათასი მანეთის თუთუნს ჰყიდიან. მემამულეს ამ 1917—1918 წლების მოსავლიდან არაფერი არ მიუღია, არ მიუღია აგრედვე არც გადაუხდელი იჯარა 1913, 14, 15 და 16 წლების (ნედოიმკები). წელიწადში სამაიორატო მამულში 60—80 ათასი ფუთი სრულიად ძალადაუტანებლად შემოდიოდა იჯარა. თვით მოიჯარადრენი ას მანეთად ჰყიდიან ფუთ სიმინდს, მაგრამ ჩვენ რომ 50 მანეთი იანგარიშოთ, წელიწადში 3—4 მილიონი ზედ-მეტი ფული აქ შერჩენილი ბაბუშერლებს და ორი წლის განმავლობაში 6-8 მილიონი; თუ ამას მიუმატებთ ორ ამდენს სომხების და ბერძნების იჯარას დავინახავთ, რომ 400-600 მეგრული მოიჯარადრესათვის ჩვენ ნივთიერად ღარიბ სახელმწიფოს უჩუქებია საერთო შემოსავლიან წყაროდან ოცი მილიონი მანეთი, მხოლოდ ამიტომ რომ ისინი „ბოლშევიკთა" ბანაკში გადვიდნენ და ჩვენ ხალხს ომი გამოუცხადეს.

მდიდარ ბუნების სიუხვით განებივრებულ ბაბუშერელ მეგრელების მეოხებით დაიბადა ყველა ის უსიამოვნება, რომელიც ქართველთა და აბხაზთა შორის არსებობს ამ ბოლო ხანებში. როცა შევიწროვებული გლეხი, საყვედურს აცხადებს მემამულეზე, ყველა გონიერი ადამიანი იმას მშვიდობიანად მოუსმენს, მაგრამ, როცა მატყუარა, სხვების მყვლეფელი, მოიჯარადრე გარემოებით სარგებლობს და ქვეყნის გასაბრიყვებლად სოციალისტობს, ბოლშევიკობას სჩემობს, არ შეიძლება არ აღელვდეს ადამიანი. როცა ბაბუშერელი, განგებ ნაცვეთ ტანისამოსში გამოწყობილი, ლაპარაკობს ქუთაისიდან, ან თბილისიდან ახლად ჩამოსულ მოქადაგესთან, რომ მათ უსამართლოდ ებპყრობა მემამულე, რომ მათი ოფლით სხვები მდიდრდებიან, ვინც მათ ვერ იცნობს, მართლა შესაწყნარებლად ჩასთვლის მათ გოდებას, მაგრამ ვინც იცის, რომ ამ მოიჯარადრეს 30 ათასი მანეთის სიმინდი, ან თუთუნი აქვს ნახული და, რომ სახელმწიფოს თანხიდან—საბაიორატო მამულის კანონიერ შემოსავლიდან მას 30-40 ათასი მანეთის ქონება აქვს მითვისებული ნუ თუ შესაძლებელია გულ დამშვიდებით მოსმენა ასეთ მატყუარებისა? ამნაირ ბაბუშერელი „ბოლშევიკების" მოსაშორებლად განდევნა ვალიკო ჯუღელმა და მისმა შტაბმა ძმობისა და ერთგულების დასამტკიცებლად მოსული ექვსასი შეიარაღებული მეომარი აბხაზი.

**8. ექვსი დღის ლოდინი კოდორში**

ჩვენ იმ დროს კოდორში საკმარისი ჯარი არ გვყავდა, და იძულებული ვიყავით ექვსი დღე გვეცადა: უცდიდით დამხმარე ნაწილს, ფოთიდან განსაკუთრებით გამოწერილს მეომართა რიცხვის გასაძლიერებლად. თუ ქართველი კაცისათვისაც სავალდებულოდ ჩავთვლით ანგარიშს, დავინახავთ, რომ 5—6 დღის ლოდინმა ჩვენ მილიონ ნახევარზე მეტი ზარალი მოგვაყენა; რისთვის, რა მოსაზრებით ჩავიდინეთ ეს მსხვერპლი? მხოლოდ იმიტომ, რომ ბაბუშერელ მოიჯარადრეებისათვის დაგვენახვებინა, თუ რა „წმინდა წყლის" სოციალისტური ჯარი გვყავს და რომ არ გვირევია „ფეოდალ-ბურჟუები."

უბრალო ბავშვურ თავმოყვარეობას ეწირება ათასი წლობით შეძენილი განწყობილება მოძმე ერისა და აუარებელი მატერიალური ხარჯი. ეხლა ვიკითხოთ, რა შედეგი მოგვიტანა ამ „დიპლომატიურმა" ხერხმა?" ასეთი საქციელი რო ჩაედინა ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენელს გურიაში, ან იმერეთში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოდ დარჩებოდა, მაგრამ აფხაზეთში სულ სხვანაირად უყურებენ საქმეს.

**10. აფხაზები და ქართველები.**

უნდა ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ სანამ აბხაზს თავის განსაკუთრებული ენა აქვს და თავის ეთნოგრაფიული თავისებურობა, ელფერი შერჩენია, ის ქართველისაგან ცალკე ეროვნებად სთვლის თავს; მათი გრძნობა-შეხედულობის წინააღმდეგ ჩვენ არც უნდა წავიდეთ და არც მოითხოვს ჩვენი—ქართველობის ინტერესი ამას: რაც უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენ მათ ენას, ზნეჩვეულებას, ეროვნულ თავმოყვარეობას, მით უფრო მოვიბირიებთ, თავს თავს შევაყვარებთ მათ.

**11. აფხაზთა თავად აზნაურობა.**

ნუ გვგონია ჩვენ, რომ ამ ეროვნული განსხვავების დაცვის საქმეში მხოლოდ აბხაზთა თავად-აზნაურობა იყოს დაინტერესებული, წინააღმდეგ, ნამდვილი აბხაზი გლეხობა უფრო თავგამოდებულია, გატაცებულია ამ საქმის დასაცველად; თავად-აზნაურობა, როგორც ყოველგან, ისე აფხაზეთშიც, უფრო გადაგვარების გზას ადგია: აფხაზეთში მაინც მთელი აზნაურობა ფაქტიურად გამეგრელებულია; აფხაზი გლეხი მათ ამიტომ არ ემადლიერება, უნდობლად უყურებს: მშრომელი გლეხების დამკვიდრება აფხაზეთში მხოლოდ აზნაურების დახმარებით და ხელის გაწყობით ხდებოდა; ეს ძლიერ კარგად იცის აბხაზეთის გლეხობამ და ამიტომაც აწუნებული ჰყავს მას აზნაურობა.

ნ. თავდგირიძე.

რკინის გზა აჯანყებულებმა აჰყარეს. ასე რომ გროზნა კავკაზის შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.

კავკავში დიდ შიშში არიან, ეშინიათ ინგუშები ქალაქს თავს არ დაესხენ მცხოვრებლებს დაურიგეს იარაღი და ტყვია წამალი.

პიატიგორსკიდან და მინერალურ წყლებიდან გამოიძახეს ყაზახთა რაზმები და ორი ქვეითი პოლკი.

# დამფუძნებელი კრება

**11 ივლისის სხდომა.**

## თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის დეკრეტისა და უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის დროებით დაჭერის და მის სარგებლობაში მონაწილეობის დაწესების შესახებ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კანონ-პროექტთა საბოლოო რედაქციის განხილვის და დამტკიცების შესახებ. დამფუძნებელი კრება იწონებას ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის საკანონმდებლო წინადადებს საგარეო საქმეთა დროებითი კომისიის, მუდმივ კომისიათ დაწესების შესახებ.

## ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა აფხაზეთის საქმეების შესახებ

**შეკითხვის ტექსტი.**

1. იცის თუ არა მთავრობამ, რომ სოხუმის ოლქში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინაალმდეგე ჯგუფის მეცადინეობით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საწინაალმდეგო განწყობილებაა; რომ ამ ჯგუფის მეთაურობით აფხაზეთის სახალხო საბჭოის მცირედი ნაწილი ამუშავებს კონსტიტუციის დებულებას საქართველოსაგან განშორების განზრახვით.

2. იცის თუ არა მთავრობამ. რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა განდევნილია სოხუმის ოლქის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიდან, რომ კერძოდ ამ ჩვენი მოწინაალმდეგე ჯგუფის წინადადებას, რომ სოხუმის სასტატო სემინარიაში კურს დამთავრებულთა სიმწიფის ატესტატი მარტო რუსულ ენაზედ ყოფილიყო შედგენილი, მხარი დაუჭირა საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ბ-ნმა ისიდორე რამიშვილმა და მთელმა სოციალ - დემოკრატიულმა ფრაქციამ.

3. იცის თუ არა მთავრობამ რომ, აფხაზეთის საბჭო საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ფულს ურიგებს კერძო პირთ პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

4. იცის თუ არა მთავრობამ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილება, რომელიც ფაქტიურად გაუქმებულია, ყოველთვიურად ასი ათას მანეთად უზის საქართველოს ხაზინას. თუ ყოველივე ეს მთავრობას პოეხსენება, რა ზომები აქვს მიღებული.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა რა ამ შეკითხვის საგნის მეტად სერიოზული და რთული ხასიათი და ის გარემოება, რომ ამჟამად მას პასუხის გასაცემად ამომწურავი მასალა არ მოეპოვება, დამფუძნებელ კრებას ეთხოვა ამ შეკითხვის ერთი კვირით გადადება. შემკითხველი დაეთანხმა და დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის წარმომადგენლის თხოვნა შეიწყნარა.

**მთავრობის განცხადება.**

მთავრობის სახელით, მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი ბ-ნი გელეიშვილი აცხადებს, რომ მთავრობა ჯერ კიდევ მზათ არ არის შეკითხვაზედ პასუხის გასაცემად და ითხოვს შეკითხვის გადადებას.

**სპ. კედიას განცხადება.**

ეროვნულ - დემოკრატიული ფრაქციის სახელით ბ-ნი სპ. კედია აღნიშნავს შეკითხვის მნიშვნელობას, მდგომარეობას სოხუმის ოლქისას და ამბობს, რომ მის ინტერესს წარმოადგენს მდგომარეობის ყოველ მხრივი გამორკვევა და როდესაც შეკითხვის წარმოდგენისას, მთავრობამ ითხოვა მისი გადადება, შეკითხვის ავტორი დაეთანხმა მთავრობას.

ასეთივე განცხადება მოუვიდა ფრაქციას დღესაც და იმავე მოსაზრებით ფრაქცია თანახმაა, შეკითხვა გადაიდოს იმ დროისათვის, როდესაც მთავრობაც, და დამფუძნებელი კრებაც მიიღებს ყველა საბუთებს და სავსებით აგითვალისწინებს საქმის სრულ ვითარებას, რომ ის დიდათ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აღძრულია შეკითხვაში, ჯეროვნად იქნას გადაჭრილი.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

**ივლისის 11-ს**

## გერმანული პრესა.

**მოლტკეს წერილები.**

გერმანული გაზეთების გადმოცემით, არსებობს გერმანიის მთავარ შტაბის ყოფილ უფროსის მოლტკეს მიერ ავსტრიის მთავარ შტაბის ყოფილ უფროსის ხეტცენდერთან გაგზავნილი წერილები, რომელშიაც უკანასკნელს აფრთხილებს. მთავრობისაგან მოითხოვენ ამ წერილების გამოქვეყნებას, რათა ბოლო მოელის გერმანიის მილიტარიზმის შესახებ ლაპარაკს: ეს წერილები დიდ როლს ითამაშებს პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის დროს.

**ბაუერის ახალი გეგმა.**

მინისტრი ბაუერი მომავალ კვირას ეროვნულ ყრილობას თავის მოქმედების პროგრამას წარუდგენს, რადგანაც ვისელის წასვლამ ეკონომიურ საკითხებში ახალ პოლიტიკის საკითხი წარმოშვა. საგარეო საქმეთა მინისტრი გერმან მიულერ გერმანიის საგარეო პოლიტიკას განიმარტავს.

**ჰინდერბურგი.**

ვენის გაზეთი „ცეიტი“ ფოშისადმი მოწერილ ჰინდერბურგის წერილის შესახებ სწერს, ჰინდერბურგი გერმანიის ერთი იმ წარმომადგენელთაგანი არის, რომლითაც სამშობლოს შეუძლია იამაყოსო.

**შეიდემანი.**

შეიდემანი ბრასაიოში ლაგომაჯოიორეზე მოვიდა.

**საქსონიის პარლამენტი.**

საქსონიის პარლამენტმა მიიღო სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების კანონ-პროექტი.

**მიმოსვლა შტეტინსა და ფინეთის შორის.**

შტეტინსა და ფინეთის შორის გემებს წესიერი მიმოსვლა აღდგენილია.

**გაფიცვები ელზას ლორენში.**

ელზას-ლორენში ელექტრონის სადგურების და მაღაროს მუშათა გაფიცვაა რომელიც სურსათის სიმცირის ნიადაგზე აღმოცენდა, გრძელდება. საფრანგეთის მუშათა კავშირებმა მხარი არ დაუჭირეს მათ რადგან მათი სიტყვიერ დახმარებისთვის ძალა არ შესწევთ.

**პრუსიის პრინცის თხოვნა.**

პრუსიის პრინცმა ჰენრიხმა ინგლისის მეფეს სთხოვა უარი სთქვას კაიზერის გასამართლების მოთხოვნაზე: „1914 ივლისის 24 თქვენ უდიდესებულებასთან საუბრის შემდეგ გერმანიაში დაბრუნებიდან მობილიზაციის დაწყებამდე კაიზერთან ერთად ვიყავი და მე ვარ იმის მოწმე, რომ კაიზერი და მისი მრჩეველნი ყოველ ღონეს ხმარობენ ომის თავიდან ასაცილებლად. მე შემიძლია უარვყო ყველა ის ცილის წამება, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში კაიზერის შესახებ ავრცელებდნენ და მე მზად ვარ გაახლოთ ომის მიზეზების და შედეგების გამოსარკვევად“.

## ფრანგული პრესა

**უმაღლეს საბჭოში.**

ოთხშაბათს შუადღის 3 საათზე შესდგა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომა. დილის 9 საათზე შესდგა იმ კომისიის სხდომა, რომელსაც ავსტრიის საზღვრების შემუშავება აქვს დაკისრებული ჰფიქრობენ, რომ კომისია მუშაობას მალე დაამთავრებს და შედეგს ხუთშაბათს გადასცემს უმაღლეს საბჭოს. ტერიტორიულ საკითხების ცენტრალურმა კომისია შეუდგა ბულგარეთის საზღვრების შემუშავებას შემდეგ შესდგა ნავთსადგურების, გერმანიის მიერ საზავო პირობების შესრულებისთვის თვალყურის მადევნებელ, ახალ სახელმწიფოთა და სხ. კომისიების სხდომები.

**საფრანგეთ-იტალიის შეტაკების გამო.**

საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა თავისი წარმომადგენლები უკვე დანიშნეს იმ კომისიაში, რომელმაც ფიუმეში მომხდარი შეტაკება უნდა გაარჩიოს იტალიას ჯერ არ დაუნიშნავს თავისი წარმომადგენელი.

**გერმანია და პოლონეთი.**

გერმანიის დელეგაციამ მოკავშირეთა მთავრობებს გაუგზავნა ნოტა გერმანიის აღმოსავლეთის ჩამოშორებულ პროვინციაში საზავო ხელშეკრულების პირობათა შესრულების შესახებ. როგორც სჩანს, გერმანიის მთავრობას სურს პირდაპირ გამართოს მოლაპარაკება პოლონელთათან.

**სამხედრო ცნობა.**

**ჩრდილოეთის ფრონტი.** ჩრდილოეთის დვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ჩვენ გოლინოვი დავიჭირეთ და ხელთ ჩავიგდეთ 8 ტყვიის მფრქვეველი.

**რუსეთის დასავლეთის ფრონტი.**

ჩვენ გაქცეულ მტერს ვსდევნით. ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა სოფლები დაიჭირა. პსკოვის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. პსკოვთან ბრძოლაა. ჩვენ ვოლოჩინსკი დავიჭირეთ. ჩვენმა ჯარმა მტერს მინსკიკენ დაახევინა. ეკატერინოსლავის მიმართ ვერნედნეპროვკასთან ბრძოლაა. ბელგოროდის, კოროსტენის, ბალაშავის და კამიშინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს.

**უკრაინის ფრონტი.**

ხარკოვის მიმართულებით. ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და მრავალი სამხედრო ქონება. ვოლოჩინსკის მიმართ. ჩვენ კუპელი, რაზნავკა, მანაიკიერუშევკა და გარნიშევკა დავიჭირეთ.

**წინსვლა პეტერბურგის მიმართულებით.**

**პეტერბურგი,** ივლის 9. ჩვენ სოფ. ისდასოვკა დავიჭირეთ. მოწინაალმდეგე გარბის. ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა კარგად მიდის. სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

**წითელი ჯარის დავლა.**

**სამარა,** ივლისის 8. №-ს არმიის რევ. სამხედრო საბჭოს წევრის მოადგილე იუწყება, რომ ჩვენი ჯარი ზლატოუსტს უახლოვდება. ურალის ქარხნის მუშები წითელ ჯარში ეწერებიან. ჩვენ 70,000 ფუთი რკინა და 40,000 ფუთი თუჯი წამოვიღეთ.

**წითელი აფიცრის თავის მოკვლა.**

**სარატოვი,** ივლისის 7. პუგაჩევოსთან ბრძოლაში თავი მოიკლა კომისარის ამხანაგმა გუსევმა რომელსაც არ სურდა მტერს დანებებოდა.

**თეთრთა სიმკაცრე.**

**კოვოტოპი,** ივლისის 8. თეთრებმა სამი დღის მეფობის დროს ხარკოვში დახვრიტეს, დაალრჩეს და მოჰკლეს 2,000 კაცი. თეთრგვარდიელებს დაჭერილ ადგილებიდან პური მიაქვთ.

**ინგლისის ბურჟუაზიული პრესა რუსეთზე.**

**ლონდონი,** ივლისის 8. ინგლისის ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ორგანოში დაბეჭდილია წერილი: „ცოტა დრო გავა და ჩვენ მივხვდებით, რომ ჩვენი დამოკიდებულება რევოლიუციონურ რუსეთთან ჩვენი სახის სინდისს და კეთილ სახელს არცხვენს. გენერალი მანერჰეიმი ჩვენ „მეგობრად“ ითვლება, ის პეტროგრადთან ავანტიურაში გვეხმარება. ფინეთში მანერჰეინმა ივლისის 2-ს 1919 წ. ენკენისთვის 14-მდე 20,000 კაცი დახვრიტა, დანარჩენები დააპატიმრა ციხეში, სადაც შიმშილით 1000 კაცი მოკვდა“.

**მოსკოვი.** ერთი ინგლისელი ოფიცრის ცნობით, რომელიც კავკავიდან დაბრუნდა, დენიკინის შტაბის დათვალიერების დროს მან 30 კაცი ნახა თავამდე მიწაში ჩაფლული. მთელ ევროპაში გაფიცვები ძლიერდება. მუშები მოითხოვენ, რომ რუსეთში თეთრგვარდიელების იარაღის მიწოდება შესწყდეს. მოკავშირენი ყველა იმედებს დენიკინზე ამყარებენ.

**გაფიცვები საფრანგეთში**

**მოსკოვი.** ივლ. 10. „ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთში მრეწველობის მდგომარეობა სერიოზულია. რკ. გზის მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს. 20,000 რკინის ჩამომსხმელთა გაფიცვაა.

**მუშათა მოძრაობა კანადაში.**

**მოსკოვი.** ივლისის 10 „დეილა-ნიუს“-ი მოწინავე წერილში სწერს: „კანადაში მუშათა კრიზისს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამას ოფიციალური წრეები აწერენ. ვინიპეგში მუშათა მღელვარებაა, მაგრამ მოძრაობის ცენტრს წარმოადგენს კანადის მნიშვნელოვანი ქალაქი მანიტობა.

მაისში იყო კიდევ გაფიცვები, რომელმაც აღმოსავლეთის ქალაქებში გამოიწვია გაფიცვები. მაისის შუა რიცხვებიდან ვინიპეგში საალყო წესები იყო.

**ბოლშევიკების გამარჯვება**

**პეტერბურგი,** ივლისის 9. ჩვენმა სახელოვანმა არმიამ მტრის ზურგში გამარჯვებას მიაღწია. მოწინააღმდეგე გარბის. ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ და მრავალი დავლა ვიგდეთ ხელში. თეთრი ფინები საზღვარ-გარეთ გარბიან. არბუზოვასთან ჩვენ 6 ტყვიის მფრქვეველი, და სხვა მრავალი სამხედრო ქონება ვიგდეთ ხელში.

**მოსკოვი.** მთავარ სარდლის ვაცეტისის და აღმოსავლეთ ფრონტის სარდლის კამენევს შორის მომხდარ სტრატეგიული ხასიათის უთანხმოება. ის იყო აღმოსავლეთში შეტევის წინაღმდეგი, მაგრამ ცხოვრებამ გვაჩვენა რომ კამენევი მართალი იყო.

შეგიძლიათ თუ არა გვაუწყოთ ჩვენ რევ. სამხედ. საბჭოს შემადგენლობა.

თავმჯდომარე არის ტროცკი, მისი მოადგილედ სკლიანსკი, მთავარსარდალი—კამენევი, საველე მართველობის უფროსი საილგა და სამხედრო მომარაგების გამაერთიანებელ რიკოვი.

რა შეგიძლიათ სთქვათ კამენევზე.

მე კამენევი გავიცანი აღმოსავლეთის ფრონტზე ერთად მუშაობის დროს. ის მთავარ შტაბის ყოფილი პოლკოვნიკია, ძველ არმიაში 3 არმიის შტაბის უფროსობით გაათავა, რომელიც თანამდებობაზეც ის საბჭოთა მთავრობის დროსაც დაინიშნა. ძველი ჯარის დემობილიზაციის დროს ის წითელ ჯარში ჩაეწერა სადაც ის ხელმძღვანელის და დივიზიის უფროსის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ კი აღმოსავლეთის ფრონტზე სარდლობდა როგორც ფრონტის სარდალი ის კარგი იყო, მშრომელი და კეთილ სინდისიერათ წაიყვანა სამოქალაქო ომის საქმე. პოლიტიკის მხრით მან გამოიჩინა ლოიალობა საბჭოთა მთავრობის მიმართ და დაიმსახურა პატიოსანი კაცის სახელი. მე მწამს რომ მისი მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშვნა ჯარის აღმაშენებლობაში.

ერთი ნაბიჯის წინ წაწევას მოასწავებს.

**უკრაინის ჯარი.**

**სამხედრო ცნობა.** ივლისის 8. ვოლოჩისკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა კუპელი, რადიევკა, მანაჩინი, ენუბევცი და გარნიშევკა დაიჭირა. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები, თოფები და სამხედრო მასალა. პროსკუროვის რაიონში ელშტინი დავიჭირეთ. მოწინაალმდეგე პანიკაში გარბის. მოწინაალმდეგე ნოვოკონსტანტინოვზე შეტევას განაგრძობს. ჩვენი ჯარი მკაცრ წინააღმდეგობას უწევს. ხარკოვის მიმართულებით ისკროვკასთან ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, თოფები და ტყვიები. ბოგოდუხოვის მიმართ. სად. გუტთან ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა მოწინაალმდეგის ჯავშნიანი მატარებელი გაანადგურა და გენ. კორნილოვის სახელობის მატარ. დააზარალა. ზოლოჩევის მიმართულებით ხოტოჟთან ჩვენი ჯარი დაზარალდა, მაგრამ ჩვენ შემდეგ შეტევაზე გადავედით.

**ბოლშევიკთა მხარეს გადასვლა.**

**ბურნაკო,** ივლის. 8. წითელი ჯარის მხარეზე მტრის ბატალიონი გადმოვიდა.

**ხრბოს განადგურება.**

**კიევი.** ივლისის 8. მატრიპოლის რაიონში მოქმედი ბრბო გავანადგურეთ. გლეხები ყოველგვარი ბრბოების წინააღმდეგი არიან.

**პეტლიურას ჯარი.**

**კიევი.** ივლისის 8. უკრაინის ფრონტზე მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. პეტლიურას ჯარი სამთავე მხრით გარშემორტყმულია. პეტლიურას უკან დახევა გადაუჭრიათ. დნეპრის სამხრეთ ნაწილში სიწყნარეა.

**მეომართა სიმკაცრე.**

ხარკოვისკენ პოლტავის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ზელიონის ბრბოებმა, რომლებიც იბუხოვში შევიდნენ, დახოცეს წითელი ჯარისკაცები. ჯარისკაცები წინასწარ აწამეს. ზოგიერთები მიწაში ცოცხლები ჩამარხეს, ზოგს შუბლზე ვარსკლავები გამოუჭრეს.

**დენიკინის მობილიზაცია.**

**კიევი.** ივლის. 8 დენიკინმა ბრძანება გასცა დაჭერილ ადგილებში 19—42 წლ. მობილიზაციის შესახებ.

**კავკასიიდან ინგლისის ჯარის გასვლა.**

**ლონდონი.** ივლისის 15. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ჯარი კავკასიას სცლის.

**ამერიკელი ჯარი ზემო-სილეზიაში.**

**ნაუენი.** ივლისის 8. ზემო სილეზიას ამერიკის ჯარი დაიჭერს.

**მუშაობის განახლება.**

**ნაუენი.** ივლისის 8. მაინის ფრანკფურტის რკ. გზელებმა მუშაობის განახლება გადასწყვიტეს.

**კანონი პროპაგანდის წინაალმდეგ.**

**ვაშინგტონი.** ივლისის 1. რესპუბლიკანებმა სენატორმა გრინიუმ კონგრესში კანონ-პროექტი წარადგინა არსებულ წესწყობილების და მთავრობის წინაალმდეგ პროპაგანდის შესახებ.

**თეთრ გვარდიელთა სიმკაცრე**

**მოსკოვი,** ივლისის 10. თეთრ გვარდიელთა ფრონტზე მყოფნი გადმოგვცემენ, რომ მათ პური არა აქვთ, გლეხები თეთრებს მტრულად უყურებენ. აჯანყება იწყება. თეთრგვარდიელები მათ, ვინც არ ემორჩილება, ხვრეტენ.

**უკრაინის ჯარების ცნობა**

პროსკუროვი მტრისაგან გაიწმინდა. ჟმერინკის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. სოფ. მალომაგინცი რადვინიცი, პიჩენია, ბაჟიდკოვცი და კალისტონი დავიჭირეთ. ჟმერიკას მიმართ. მოწინაალმდეგეს მედიეჟიე-უშვოსკენ დავახევინეთ. ჩერნომორიის რაიონში რუმინიის და ფრანგების გემები ჩვენ... (გამოტოვებულია).

**სამხრეთის ფრონტზე.**

**მოსკოვი.** ივლისის 10. **სამხედრო ცნობა.** ენკურის რაიონში მოწინაალმდეგე ქიმიურ ყუმბარებს გვიშენდა, მაგრამ უშედეგოთ. დასავლეთის ფრონტზე ნარვის მიმართულებით მოწინაალმდეგე უკუ ვიგდეთ სამხრეთის ფრონტზე ვალუის მიმართ. ნოვოე ოსკოლის დაჭერის შემდეგ 10 ვერსით კიდევ წინ წაიწიეს. კამიშინის რაიონში ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა. კამიშინის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

ურალის რაიონში ჯარი შეტევაზე გადავიდა. ორენბურგის რაიონში ჩვენ ბრძოლით მენოვოი დვორი დავიჭირეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სუხაჩიევკა და ზაპოროჟიე დასტოვა, ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენი შნიკოვკა დავიჭირეთ, მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბელოგრადის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ვალუისკის მიმართულებით ნოვოოსკოვის აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. აქ ჩვენ ხელში ჩაგვივარდა 20000 ტყვია აღმოსავლეთით ჩვენ ბარიუჩი დავსტოვეთ. ვორონეჟის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ტყვედ წავიყვანეთ 600 კაცი და ხელში ჩაგვივარდა 3 ტყვიის მფრქვეველი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ახალი ადგილები დაიჭირა. ჩვენ ბალაშოვო ისევ დავიბრუნეთ. კამიშინის რაიონში მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა მტრის ბატარეია.

**აღმოსავლეთის ფრონტი**

პეგაჩოვის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ბუზულუკის რაიონში ჩვენ 1 სოფელი დავიჭირეთ. ორენბურგის რაიონში ტაკიშჩევთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ზლატოუსტის რაიონში ჩვენ ვიაზოვაია დავიჭირეთ. კრასნოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ეკატერინობურგის და კუნგურის რკ. გზის მიმართ. კუნგურის რაიონში შტავეტინსკის ქარხანა დავიჭირეთ. 200 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები. ივლისის 6. ჩვენ მხარეზე 3 პოლკი გადმოვიდა. ივლისის 10 ერთი როტა ფელდფებლით ჩვენ მხარეზე გადმოვიდა. პერმის რაიონში ჩვენ ადვისილა დავიჭირეთ.

**უკრაინის ჯარის სამხ. ცნობა**

ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ ჟმერინკა დავსტოვეთ. ჩვენ ორი სოფელი დავიჭირეთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ სადგ. სუხაჩოვკა და ზაპოროჟიე დავსტოვეთ. კონსტანტინოსლავის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ქალაქ გაიგორონკოს რაიონში ბრძოლის შემდეგ ზოგიერთი ადგილას მტერმა დაიხია.

**მარიენბურგის მიმართულებით.**

**№-ის არმიის შტაბი.** მარიენბურგის მიმართულებით. თეთრების მზვერავები გავფანტეთ. კურლიანდიის და ლიფლიანდიის ფრონტზე ჩვენი მზვერავები თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. პონევეჟის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. ნოვოსვენციანის მიმართულებით დიენის ტბის სამხრეთით წინ წავიწიეთ.

**პეტლიურას ჯარი**

**კიევი.** ივლის. 7. ჟმერინკის დაჭერის შესახებ გავლენიანი სამხედრო პირები იუწყებიან, რომ პეტლიურას ჯარი, რომელიც დერაჟნიასთან დამარცხდა, იძულებული შეიქნა სამხრეთისაკენ წასულიყო კამენეც პოდოლსკზე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა, ჟმერინკისაკენ, ... ბარონოვიჩი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით, მან ჟმერინკა დაიჭირეს. ამავე დროს საბჭოთა ჯარი მოწინააღმდეგის ზურგში გამოვიდა და პროსკუროვი, ვოტდავცი, მანილოვკა, ეკატერინოვკა და რამდენიმე სადგური დაიჭირა. პეტლიურას ჯარის საბოლოოდ დასამარცხებლად ჟმერინკის რაიონში ჯარი იგზავნება.

**მწვანეთა რესპუბლიკა.**

**დვინსკი.** ივლისის 7. ბელოვას დაბაში მწვანეებმა თავისი რესპუბლიკა გამოაცხადეს, მოწოდებაში ნეიტრალიტეტს აცხადებენ.

**კუნძ. ეზელის დაჭერა.**

**დვინსკი.** ივლისის 7. რეველის თეთრ-ლატიშთა გაზეთი იუწყება, რომ ინგლისელებმა ესტონიის მთავრობის თანხმობით კუნძული ეზელი დაიჭირეს.

**ხარკოვზე შეტევა.**

**კიევი,** ივლისის 7. ხარკოვზე ჩვენმა შეტევამ მოწინააღმდეგის წრეებში პანიკა გამოიწვია. ქვეითა ჯარები ოფიცერთა რაზმებით შეიცვალა. კონსტანტინოგრადის მიმართულებით საბჭოთა ჯარი ვალკის და კონსტანტინოგრადს, დაუახლოვდა რომლებიც დენიკინისაგან განწმენდილია. ბოგოდუხოვას ჩრდილოეთით ჩვენ მოწინააღმდეგე შევავიწროვეთ. ვოდიანაის რაიონში ბრძოლაა. თეთრების ჩვენი არტილერია ამარცხებს.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი, ივლისის 8 ც. ა. კ. ბ. ბ.**

**ბიულეტენი.**

**სამხედრო ცნობა, ივლის 8.**

**დასავლეთის ფრონტი.** ფინეთის ყურეში ჩვენმა ჰაეროპლანმა მოწინააღმდეგის სამხედრო გემებს ყუმბარები დაუშინა. რიგის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ბალტიის რკინის გზაზე ჩვენ კონოხოვიელი ბრუდა და ლეტოშჩვიელი დავიჭირეთ. ნოვო-სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ტბისკენ (?) დაიხია. მტერმა ჟმერინკა დაიჭირა. ჩვენ პროსკუროვო დავიჭირეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით მოწინააღმდეგემ მილორადოვკა დაიჭირა. ხარკოვის მიმართულებით ჩვენ სადგური ისკროევა დავსტოვეთ. ჩრდილოეთით ჩვენ ხოტმიჟსკი დავტოვეთ. ბელგოროდის მიმართულებით ბრძოლაა. ვალიუსკის მიმართულებით ჩვენ მდ. ტიხაიასოსნასთან პოზიციები დავსტოვეთ. ბირუჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლაა. ბორისოგლებსკის მიმართულებით დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეს სამხრეთისაკენ დავახევინეთ სადგ. ვოლკონსკაიასთან ჩვენ 700 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედა ხელთ ვიგდეთ მრავალი სამხედრო ქონება. კამიშინის მიმართულებით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ.

**აღმოსავლეთის ფრონტი** პუგაჩოვის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბუზულუკის რაიონში პარაფინოვეკასთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ, 10 ვერ. წინ წავიწიეთ და გარშონო დავიჭირეთ. კრასნოუფის მიმართულებით ჩვენ ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 ვერსზე გამოვედით, კუნგურის მიმართულებით სადგ. ტულუმბუზის ხაზზე ბრძოლაა. პერმის რაიონში რკ. გზის ჩრდილოეთით ვერ

ხი ჩუსოვკაია-გოროდ ოვ-ბოლიზენსკოე ორუდენსკოს მივაღწიეთ. მდ. კამაზე ჩვენ ეკატერინენსკის და კოჟევსკის ქარხნები დავიჭირეთ.

**კიევი ივლისის 7 სამხედრო ცნობა**

ბროდის მიმართულებით მოწინააღმდეგე შეტევის დაწყებას სცდილობდა, მაგრამ ხელი შეუშალეთ. პროსკუროვის მიმართულებით დაბა ნიკოლაევსკის რაიონში ჩვენ ზაზულინეცი, გრანოვიცი და პოლოვიე დავიჭირეთ. სოფ. ხოტკოვცთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ვოლჩისკის მიმართულებით ქმერინკას რაიონში მოწინააღმდეგემ ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით ენერგიული შემოტევა დაიწყო და პოდპოლსკასთან გამოვიდა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მდგომარეობა აღადგინა და მტერს დიდი ზარალი მიაყენა. ეკატერინოსლავის მიმართულებით დუხარევკა დავიჭირეთ და ლევკაზე შეტევას განვაგრძობთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით სადგურ ვოლანსბიასთან ჩვენი შეტევა გრძელდება.

ზოლოჩევის მიმართულებით მოწინააღმდეგე, რომელიც ქალ. გაიკოვოროვთან გვიტევდა, უკუ ვაგდეთ.

# კოლჩაკის მთავრობის ცნობა მოკავშირეების მიერ

გაზ. „ტან“-ში (თიბათვის 14 №) დაბეჭდილია ნოტები, რომელსაც ერთმანეთს უგზავნიდნენ შეთანხმების სახელმწიფოები და კოლჩაკი. ამას შედეგად მოჰყვა კოლჩაკის მთავრობის ცნობა. ეს ნოტები დიდად საგულისხმიერო საბუთებია. ამისათვის მოგვყავს თითქმის მთლიანად.

**მოკავშირეთა განცხადება**

მაისის 27-ს კლემანსომ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სახელით კოლჩაკს შემდეგი ცნობა გაუგზავნა:

„მოკავშირე სახელმწიფოები იმ აზრს დაადგნენ, რომ დრო არის მოკავშირეებმა პოლიტიკის ერთი რომელიმე გეზი შეიმუშაონ რუსეთის მიმართ.

უმთავრესი ჩვენი მიზანი ის იყო ყოველთვის, რომ რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩავრეულიყავით. პირველი ჩვენი ცდა მიმართული იყო იქით, რომ ხელი შეგვეწყო რუსეთის იმ ნაწილისთვის რომელიც მომხრენი იყვნენ გერმანიის წინააღმდეგ ომის განგრძობისა.

ამავე დროს მოკავშირეებს სურდათ ჩეხო-სლოვაკებისათვის ეშველათ, რომელნიც ბოლშევიკებისგან დიდ შევიწროებას განიცდიან. ზავის ხელის მოწერის შემდეგ (გიორგობისთვის 11—1918 წ.) მათ რუსეთის ყოველ ნაწილში ჰყავდათ ჯარი და ეხმარობოდნენ იარაღით და სურსათით მათთან მყოფ მკვიდრთაც. როგორც კი შესდგა საზავო კონფერენცია მაშინვე მათ სცადეს მთავრობათა საერთო ყრილობა მოეხდინათ სადაც ისინი შეიძლება შეთანხმებულიყვნენ რუსეთის პრობლემის გადაწყვეტაში.

ეს ცდა მეტად ცუდად დაბოლოვდა, ვინაიდგან ბოლშევიკებმა უარჰყვეს ერთი უმთავრესი საფუძველი შეიარაღებისა: გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლა.

ეს მთავრობანი კიდევ დათანხმდებიან ასეთ მოლაპარაკებაზე და შევლაზე, რათა ამით დაამტკიცონ, რომ რუსის ხალხთან სამტრო მათ არაფერი აქვთ.

ეხლა ზოგიერთ მოკავშირის მთავრობაზე დიდი გავლენა სურთ მოახდინონ და რუსეთიდან გამოაწვევინონ ჯარი, რომელიც იქ რუსეთის ხალხის საშველად არიან.

ამის მომხრეთ საბუთად ის აქვთ რომ რუსეთის ჯარების დახმარებას და სხვას არავითარ შედეგამდე არ მიუყვევართ, ბოლშევიკებს მაინც ვერ ამარცხებენო.

ეს მთავრობანი მაინც არ შეაჩერებენ დახმარებას სანამ რუსეთის ხალხი არ მისწვდება სრულ თავისუფლებას, მშვიდობიანობას და თვითგამორკვევას.

მოკავშირე სახელმწიფოები ფორმალურად აცხადებენ, რომ მათი მიზანია რუსეთში განამტკიცონ მშვიდობიანობა და საშუალება მისცენ რუსის ხალხს, რომ მან ძალდაუტანებლად არჩეულ დამფუძნებელ კრების საშუალებით გამოსთქვას თავისი აზრი; მათი მიზანია, რომ განამტკიცონ მშვიდობიანობა რუსეთის საზღვრებზე და შესაძლებლად გახადონ, რომ ყოველგვარი ისი საგარეო კონფლიქტები სწყდებოდეს ხალხთა ლიგის არბიტრაჟით.

მოკავშირენი 12 თვის გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ არავითარი საქმის დაჭერა არ შეიძლება მოსკოვის საბჭოთა რუსეთთან, ამისათვის ისინი მზად არიან მიეშველონ ადმირალ კოლჩაკს და ყველა მათ ვინც კოლჩაკთან არიან, იარაღით და სურსათით, იმ პირობით კი, რომ კოლჩაკის პოლიტიკა ბლომად მოკავშირეთა გეზთან შეთანხმებული იქნება.

ამისათვის მოკავშირენი ეკითხებიან ადმირალ კოლჩაკს და მის მოკავშირეებს მისაღებია თუ არა მათთვის.

1. მაშინვე, როგორც კი კოლჩაკი შევა მოსკოვში, მოიწვევს დამფუძნებელ კრებას, რომელიც არჩეულ იქნება ფარული, თავისუფალი, დემოკრატიული ხმის მიცემით და რომელიც აღჭურვილი იქნება კანონმდებლობითი უფლებით. დამფუძნებელ კრების წინაშე პასუხისმგებელია მთავრობა. ყოველ შემთხვევაში თუ რუსეთის მდგომარეობა არ იქნება საკმაოდ მტკიცე, მაშინ კოლჩაკი მოიწვევს 1917 წლის დამფუძნებელ კრებას, რომელიც იმუშავებს იმ მომენტამდე სანამ შესაძლებელი იქნება ახალ არჩევნების მოწყობა.

2. იმ ადგილებში, რომელიც ეხლა კოლჩაკს უჭირავს ნება დართულ უნდა იყოს ლეგალურ დაწესებულებათათვის თავისუფალი არჩევნები (ერობა, მუნიციპალიტეტი).

3. კოლჩაკი მოვალეა არ ეცადოს რუსეთის რომელიმე კლასის, წოდების ან საზოგადოების უფლებათა აღსადგენად მოკავშირენი სიამოვნებით შეხვდნენ იმ აზრს, რომ კოლჩაკი თავისი მოკავშირეებით სრულიად არა სცდილობენ ძველი აგრარულ სისტემის რესტავრაციას.

ეს ყველაფერი უნდა გადასწყვიტოს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ, მოკავშირეებს სურთ მიიღონ ერთგვარი სიტყვიერი გარანტია, რომ სარწმუნოებრივი და მოღალატობრივი თავისუფლება აღდგენილ რუსეთში უზრუნველყოფილი იქნება და არავითარი ცდა რევოლუციის მიერ დანგრეულ რეჟიმის აღსადგენად გაწეული.

4. ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიარებულ იქმნას და თუ საზღვრებზე მათ რუსეთი ვერ შეუთანხმდება, მაშინ სადაო საკითხი გასარჩევად ხალხთა ლიგას უნდა გადაეცეს.

5. თუ რუსეთისა და ესტლინდის ლატვიის, ლიტვის, კავკასიის, კასპიის სახელმწიფოთ შორის შეთანხმება არ მოხდება, მაშინ ეს საკითხები უნდა ხალხთა ლიგას გადაეცეს, მანამ კი რუსეთის სახელმწიფო მოვალეა ეს სახელმწიფონი იცნოს ავტონომიურ მმართველობებად და იცნოს აგრეთვე ის ურთიერთობა, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს მოკავშირეთ და ამ მცირე ერთა ფაქტიურ მთავრობათ შორის.

6. საზავო კონფერენციის უფლებას ბესარაბიის რუმინულ ნაწილზე კოლჩაკი აღიარებს.

7. როგორც კი რუსეთში დამყარდება დემოკრატიული მმართველობა იგი უნდა შევიდეს ხალხთა ლიგაში, ერთი შეიარაღების შემცირების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად.

8. მოკავშირე სახელმწიფონი სცნობენ კოლჩაკის დეკლარაციას, რომელიც მან 1918 წ. გიორგობისთვის 27-ს გამოაქვეყნა რომელიც რუსეთის ეროვნულ ვალებს შეეხება.

მოკავშირენი დიდად მოხარულნი იქნებიან გაიგონ, რომ კოლჩაკი თანახმაა ამ მუხლებისა და თუ ეს მოხდება მაშინ თანახმანი იქნებიან თუ არა ისინი შეჰქმნან ერთი ჯარი და ერთი ბრძანებლობა როგორც კი სამხედრო მდგომარეობა ამას შესაძლებლად გახდის. ხელს აწერს.

**ლოიდ ჯორჯი, ვუდრო ვილსონი, ჟორჟ კლემანსო, ორლანდო, საკინი.**

# დეკრეტი

## საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემისა

(საბოლოო რედაქციით მიღებული დამფუძნებ. კრების 11 ივლ. სხდომაზედ)

1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთისა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდულ უნდა იქნეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნების და ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.

5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს ერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცდახუთის, ორმოცდა-ათის, ასის და ხუთას მანეთის კუპიურებისა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს თბილისის ხაზინას შესაბამისად და ხმარებისათვის გამოსაშვებად.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბონი, რომელსაც აკლია ერთი მესამედი ან ერთ-ერთი ხელმონაწერი ან ნომერი, უვარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

8 ყალბი ბონის დამზადებისა ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით.

9. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

# კანონი

**უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის.**

(მიღებული დამფუძნებელი კრების 11 ივლისის სხდომაზედ).

1. მთავრობას უფლება აქვს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იძულებით ჩამოართვას კერძო მესაკუთრეებს უძრავი ქონება. დროებით დაიჭიროს ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება დააწესოს, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროება.

2 პირველ მუხლში აღნიშნული უფლება ეკუთვნის აგრეთვე ქალაქთა და ერობათა თვითმართველობებს თავიანთ მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში კუთვნილებისამებრ, იმ მოვალეობათა განსახორციელებლად, რომელიც დაკისრებული აქვს მათ კანონით, მიუხედავათ იმისა, განახორციელებენ ამ მოვალეობათ თვითონ თუ თავიანთა შეერთებული ორგანიზაციების (კავშირი) საშუალებით.

3. თუ ერთი და იგივე უძრავი ქონება საჭირო აღმოჩნდა მთავრობისა და ადგილობრივი თვითმართველობისათვის, უპირატესობა მთავრობას ეკუთვნის. თუ ერობას დასჭირდა შეორე მუხლში აღნიშნული უფლების სარგებლობა იმ ქალაქის ფარგლებში, რომელიც მის ტერიტორიაზე მდებარეობს, ქალაქის თვითმართველობას უნდა შეუთანხმდეს. თუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს, ერთის ან ორივე მხრის თხოვნით, მთავრობა.

4. მთავრობა გამოიტანს უძრავ ქონების და იძულებით ჩამორთმევის, დროებით დაჭერის ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესების დადგენილებას სათანადო უწყების მინისტრის მოხსენებით. ხოლო ქალაქის და ერობის თვითმართველობის ასეთი დადგენილება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ თუ ის მისაღებია გამგეობის მოხსენებით სათანადო ქალაქის საბჭოს ან ერობის კრების მიერ, რომელსაც ხმოსანთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე არა ნაკლები დასწრებია.

**შენიშვნა:** ქალაქის ან ერობის თვითმართველობის დადგენილება ძალაში შედიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მთავრობა, რომელსაც უნდა წარედგინოს დადგენილების ახალი საქმის განმარტებით სამი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების ახლის მიღებისა არ აცნობებს სათანადო თვითმართველობას რომ მის დადგენილებას არ ეთანხმება.

5. თუ განზრახული საქმე მოითხოვს წინასწარ გამოკვლევას ან ცნობების შეკრებას, მთავრობას და აგრეთვე ქალაქის და ერობის გამგეობას, კუთვნილებისამებრ, შეუძლიათ ნება დართონ მას, ვინც საქმე უნდა განახორციელოს, დაათვალიეროს და საჭირო გამოკვლევა მოახდინოს სხვის უძრავი ქონების, ვის ხელშიაც უნდა იყოს ეს ქონება.

6. ჩამორთმეულ, დროებით დაჭერილ და სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით შეზღუდულ უძრავ ქონების პატრონს მიეცემა საფასური, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ქვემო მუხლებში აღნიშნული წესით. თუ ვისმე კანონიერ საფუძვლით, სიცოცხლეში ამ კანონის სარგებლობის უფლება აქვს, საფასური შეტანილ უნდა იქმნეს სახელმწიფო ბანკში იმ მიზნით, რომ მთელი სარგებელი ამ თანხისა ეძლეოდეს მას, ვისაც სიცოცხლეში სარგებლობის უფლება აქვს.

7. უკეთუ უძრავი ქონება ჩამორთმეულია ისეთ სახელმწიფო ან საზოგადო საქმისათვის, რომელსაც განახორციელებს თვით მთავრობა, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება, ერობა, ქალაქი ან მათი შეერთებული ორგანიზაცია საფასურის რაოდენობა განისაზღვრება იმ უკანასკნელი შეფასებით რომლის კვალობაზე გაწერილია ქალაქებში საქალაქო და მაზრებში საერობო გადასახადი. ამავე მიზნით დროებით დაჭერილი ქონების პატრონს მიეცემა ყოველწლივ წინდაწინ ექვსი პროცენტი იმავე საფასურისა.

**შენიშვნა.** უკეთუ ორი თვის განმავლობაში იმ კანონის ძალაში შესვლის დღიდან უძრავი ქონების პატრონი მოსთხოვს ქალაქის ან ერობის თვითმართველობა ქონების ხელახლათ შეფასებას, თვითმართველობა ვალდებულია შეასრულოს თხოვნა და საფასურის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელოს ამ ახალი შეფასებით, თუ ქონების ჩამორთმევა ან დროებით დაჭერა მოხდება შემდეგ შეფასებამდე.

8. თუ პატრონს ჩამოერთვა ქონების ნაწილი და დარჩენილს ნაწილს ამის გამო სრულიად დაეკარგა ფასი, პატრონს შეუძლია მოითხოვოს მთელი ქონების საფასური. თუ დარჩენილ ნაწილს ფასი ეკარგება რაოდენადმე, ანდა ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებით ქონების პატრონს ზარალი მოუვა, ის, ვის სასარგებლოდაც არის ქონება ჩამორთმეული, ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება არის დაწესებული, ვალდებულია პატრონს ფასდანაკლისი ან ზარალი უზღოს.

როცა ქონების ჩამორთმევა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდება სახელმწიფო უწყების, ქალაქის ან ერობის საჭიროებისათვის, ეს დაწესებულებანი თვით განსაზღვრავენ ფასდანაკლისს და ზარალის რაოდენობას. მაგრამ თუ ქონების პატრონი კმაყოფილი არ დარჩა, შეუძლია ზედმეტი მოითხოვოს სასამართლოს წესით.

9. საფასური და ზარალის ასანაზღაურებელი თანხა უნდა აღნიშნულ იყოს მთავრობის, ქალაქის თვითმართველობის და ერობის კრების იმ დადგენილებაში რომელიც გამოტანილ იქნება ქონების ჩამორთმევის, დროებით დაჭერის ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისათვის. ამავე დადგენილებაში უნდა დაწვრილებით იქმნეს ნაჩვენები მდებარეობა, საზღვრები, სივრცე, შენობები და სხვა ნიშნები უძრავი ქონებისა.

**შენიშვნა:** რკინის გზის გასაყვანად, ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემ მოწყობილებათა და აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონის გასამართავად საჭირო უძრავი ქონების საფასურის განსაზღვრა და დაწვრილებით აღწერა შეიძლება დადგენილების შემდეგაც, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვის.

10. საფასური და ზარალის ასანაზღაურებელი ფული უნდა მიეცეს პატრონს ქონების ფაქტიურად ჩამორთმევამდე, ხოლო წინა (მე 9) მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაში არა უგვიანეს რვა თვისა ქონების ჩამორთმევის შემდეგ. პატრონს უნდა მიეცეს აგრეთვე სარგებელი ქონების ჩამორთმევისა, დროებით დაჭერისა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესების დღიდან ფულის მიცემის დღემდე, წლიური ექვსი პროცენტის ანგარიშით.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო თვით განახორციელებს იმ საქმეს, რომლისთვისაც უძრავი ქონების ჩამორთმევა ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდა, და ქონების საფასური ან ზარალის ასანაზღაურებელი თანხა ასი ათას მანეთს აღემატება, ასი ათასი მანეთი მიეცემა პატრონს ქონების ჩამორთმევამდე, ხოლო დანარჩენი არა უგვიანეს ერთი წლისა ქონების ჩამორთმევის დღიდან, ყოველ თვიურად თანასწორი ნაწილებად ამავე (მე-10) მუხლში აღნიშნულ სარგებლის დამატებით.

თუ საქმეს განახორციელებს ქალაქი ან ერობა და ქონების საფასური ან ზარალის ასანაზღაურებელი თანხა აღემატება თბილისში სამოცდათხუთმეტ ათას მანეთს, ქუთაისსა და მაზრებში ოცდა ხუთი ათას მანეთს-ამ შემთხვევაში ქონების პატრონს მიეცემა ქონების ჩამორთმევამდე თბილისში სამოც და ხუთმეტი ათასი მანეთი, ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში ორმოცდა ათი ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი ქალაქებსა და მაზრებში ოცდა ხუთი ათასი მან. დანარჩენი ფული მიეცემა ქონების პატრონს ექვსი წლის განმავლობაში დღიდან ქონების ჩამორთმევისა, ყოველწლივ თანასწორი ნაწილებად მე-10 მუხლში აღნიშნული სარგებლის დამატებით.

11. თუ უძრავი ქონება ან ფასის მიღება სადავო გამოდგა, პატრონისთვის გადაწყვეტილი თანხა უნდა შეტანილ იქნეს სახელმწიფო ბანკში სარგებლის სამატად, და მიეცემა იმას, ვინც წარადგენს თავის უფლების დასამტკიცებლად სათანადო სასამართლოს ძალაში შესულ განაჩენს.

12. ისეთ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მნიშვნელობის საქმისათვის, რომელსაც აწარმოებს კერძო პირი, ამხანაგობა ან საზოგადოება, სხვისის უძრავი ქონების ჩამორთმევა, დროებით დაჭერა ან სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება შეიძლება მხოლოდ მთავრობის დადგენილებით, რომლის ასლიც განზრახული წარმოების პატრონმა უნდა წარუდგინოს უძრავ ქონების ასაწერად იმ უბნის სასამართლოს ბოქაულს, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება, ხოლო თუ ეს ქონება რამდენსამე სხვა და სხვა მომრიგებელ მოსამართლეთა უბნებში მდებარეობს,—სასამართლოს სათანადო ბოქაულებს.

13. სასამართლოს ბოქაული უნდა შეუდგეს ქონების აღწერას იმ წესით, რომელიც სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდებაშია აღნიშნული, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ მთავრობის დადგენილების ასლის მიღებისა. აღწერის დღისთვის სასამართლოს ბოქაული მოიწვევს ასაწერი ქონების პატრონს და აგრეთვე უწყების წარმომადგენელს ან წარმოების პატრონს. ქონების პატრონი ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს ბოქაულს, რაოდენი საფასური სურს მიიღოს იმ ქონებაში. რომელიც ჩამორთმეულ ან დროებით დაჭერილ უნდა იქნეს ან რომლის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება უნდა დაწესდეს, და აგრეთვე იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ამას მოუვა. წარმოების პატრონიც თავის მხრივ მოვალეა აღნიშნოს ის საფასური, რომლის მიცემა აქვს განზრახული ადგილის პატრონისათვის სასამართლოს ბოქაულმა უნდა ჩასწეროს ხსენებულ განცხადებანი აღწერაში ან ოქმში, და აღნიშნოს აგრეთვე ყოველი უფლებრივი დავა, თუ ვინმემ განაცხადა, ქონებასა ან საფასურზე. თუ ვინიცობაა რომელიმე მხარე, რაიმე მიზეზის გამო, ვერ დაესწრება აღწერას, ვალდებულია თავისი განცხადება გაუგზავნოს აღწერის დღისთვის სასამართლოს ბოქაულს, იმათი დაუსწრებლობა კი აღწერას ვერ შეაჩერებს.

14. წარმოების პატრონს შეუძლია დაუყოვნებლივ დაიჭიროს აწერილი ქონება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის უფლება მიცემული აქვს მთავრობის დადგენილებით ან კანონით.

15. აღწერის გათავების შემდეგ სასამართლოს ბოქაულმა თავისი საქმის წარმოება, არა უგვიანეს ორი დღისა, უნდა გაუგზავნოს განცხადებული დავის გასარჩევად და მამულის პატრონისთვის საფასურის გადასაწყვეტად: ა) მომრიგებელ მოსამართლეს, თუ მამულის პატრონის მიერ მოთხოვნილი საფასური არ აღემატება მომრიგებელ მოსამართლის ქვემდებარეობას ან თუ მამულის პატრონი საფასურს არ განაცხადებს. და ბ) ოლქის სასამართლოს, თუ მოთხოვნილი საფასური აღემატება მომრიგებელ მოსამართლის ქვემდებარეობას.

16. მომრიგებელი მოსამართლე ანუ ოლქის სასამართლო, მიიღებს რა სასამართლოს ბოქაულის საქმის წარმოებას, დაუყოვნებლივ მიიწვევს სასამართლოს სხდომაზე ორივე მხარეს, ხოლო თუ მათ გარეშე სხვამაც განაცხადა თავისი უფლება საფასურის მიღებაზე, მიიწვევს ყველას, ვინც ასეთი უფლება განაცხადა; და აგრეთვე იმასაც, ვისაც მინიჭებული აქვს სიცოცხლეში ამ ქონების სარგებლობის უფლება.

17. სასამართლო არჩევს განცხადებულ დავას საფასურის გამო და არკვევს საფასურის რაოდენობას იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის წარმოების სადავო საქმეთა განსახილველად, მხოლოდ დადგენილი განაჩენი არ ჩაითვლება დაუსწრებელ განაჩენად იმ მხარისთვის, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა საქმის წარმოებაში სასამართლოს ბოქაულთან და სასამართლოში.

# ღია წერილი

**ქართულ საზოგადოებას.**

მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული ამ ჟამად სახადით არის ავად და უსახსრობისა გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა ქართული საზოგადოება დაეხმაროს მას ნივთიერად და ამით ხელი შეუწყოს ბალღე მისი მორჩენას. მისამართი: ავლაბარში, მერვე საკომისრო უბანში, ყოფილ სამეგრელოს რაზმის შენობასთან, ორ-ხევის შესახვევი, სახლი № 7.

კ. მარტვილელი.

# თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართები

1) ინგლისის მთავარი შტაბი.—რეტიშჩევის ქ. № 7.
2) ფრანგულ მისიის უფროსი პოლკ. მარდინი პეტრე დიდის ქ. № 3
3) შვეიცარული საელჩო ბებუთოვის ქ. 15.
4) ფრანგული მისიისა—პანასევიჩის ქუჩ. 3.
5) პოლონეთის სამეფო წარმომადგენელი - მადათოვის ქ. 1.
6) ლიტვის წარმომადგენელი კირშეს ქ. 45.
7) აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, კანცელარია—დავითის ქ. 5
8) უკრაინული მისსია,—ვერის დაღმართი 3
9) უკრაინის მთავარი ელჩი ლესნიაკი ვერის თავდაღ. 3
10) სპარსეთის მთავარი ელჩი—გუდოვიჩის ქ. 7
11) ესპანური ელჩის ნაცვალი აბალების ქ. 9
12) შვეიცარიელი საგანგებო დელეგაცია დიდუბე „ფლერას“ ვილლა.
13) საბერძნეთის სამეფო ელჩი—სასტუმრო „ბელთვიუ“
14) სომხეთის წარმომადგენელი—გოლოვინის პრ. 8
15) ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საზოგის წარმომადგენელი—ქალთა პირველი გიმნაზია
16) იტალიის წარმომადგენელი—სასტუმრო „ორიანტი“.
17) ამერიკული სამხედრო მისსია—სერგიევის ქ. 16
18) ბელგიის ელჩი—ელისაბედის ქუჩ. № 183.

# ბაქოს ბირჟა

„კერენკის“ 1000 მანეთიანი ფასობს ახალი—1450 მ., საერთო ფასი მასზე—1300 მ., „ნიკოლოზის“ 500 მანეთიანი—1650 მ., 100—280 მ., ამიერ-კავკასიის ბონები 2 ნახ. პროცენტი.

**აქციების ფასი.**

ნავთის მწ. ნობელის—23.000 მ., მანთაშევის 2.200 მ., კასპიის—2.700 მ., ლიანოზოვის 1.600 მ., ტერ-აკოფოვის 1.40 მ., პუტილოვის 135 მ

# ჩვენი ფოსტა

**ჩვენს კორესპონდენტებს.**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და მხოლოდ ერთ გვერდზე. წერილში უსათუოდ უნდა იყოს აღნიშნული ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ ჰკისრულობს.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრო გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 1—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიკ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—23.